ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 2 ივნისი, 2023 | №107 (9143) | ფასი: 80 თეთრი

„ომის შემდეგ საქართველოში იარაღზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან ხალხს ეშინია“

გვ.3

„სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილს არასოდეს არ დაუპირისპირდება!“

იაგო ხვიჩია: „ოპოზიციას „ოცნების“ სასიკეთოდ რომ არ ემუშავა, „ქართული ოცნება“ აქამდე შეცვლილი იქნებოდა“

გვ.2

„თუკი „ოცნების“ დამსახურებით ევროპაში შესვლას აგვიკრძალავენ, მაშინ ხელისუფლება უნდა შევცვალოთ“

„ზელენსკიმ ქართველი ხალხი და ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ახლა უკრაინის წყალობით შეგვიძლია, ისტორიულ შანსს ხელი გამოვკრათ. ძალიან დიდ ხანს, საუკუნეების განმავლობაში, ჩარაზულ კართან აღმოვჩნდით და ეს მოღალატეები ამ შანსს გვართმევენ“

გვ.3



გვ.3

„ზელენსკიმ დააკონკრეტოს, რა უნდა“

„ვერცერთი ფაქტობრივი მტკიცებულება ვერ დადეს, რომ საქართველო რალაცნაირად ეხმარება რუსეთს სანქციებისთვის გვერდის ავლაში“

გიორგი მუმლაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ 5.000 ლარით დააჯარიმა

გვ.5

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „მიუღებელია ნებისმიერი კრიტიკა იმ ძალისგან, რომელმაც ომი ვერ აიცილა, დაკარგა და რუსეთს ჩააბარა ჩვენი ტერიტორიები“

„რუსებისთვის ერთწლიანი უვადო ვიზები უნდა გაუქმდეს და სამთვიანით შეიცვალოს“

გვ.5

ტანსაცმლის ქვეშ, სხეულზე მიმაგრებული სახით, საქართველოში 43.676 ლარის ღირებულების 400 გრამის ოდენობის ოქროს საიუველირო ნაკეთობები გადმოიტანა

2 გიგა ბოკერია: „საქართველო და ბელარუსი ერთი და იგივე ნამდვილად არ არის“

2 ირაკლი ქადაგიშვილი ზელენსკის განცხადებაზე — „ეს არის გამიზნულად გაკეთებული ერთგვარი შურისძიება“

7 კვარაცხელია ნომინანტებში არ ჩანს

6 რატომ იქნება რუსეთ-უკრაინის ომი ხანგრძლივი?!

1993230720223

„სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილს არასოდეს არ დაუპირისპირდებაᲐ!“

იაგო ხვიჩია: „ოპოზიციას „ოცნების“ სასიკეთოდ რომ არ ემუშავა, „ქართული ოცნება“ აქამდე შეცვლილი იქნებოდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ვირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

„თუკი „ოცნების“ დამსახურებით ევროპაში შესვლას აგვიკრძალავენ, მაშინ ხელისუფლება უნდა შევცვალოთ“

– როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ევროპარლამენტში გამოსვლას სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. სალომე ზურაბიშვილი ევროპარლამენტარებმაც გააკრიტიკეს, ეს არის ცარიელი სიტყვები და გადადგმულ ნაბიჯებს ვერ ვხედავთო. რას იტყვით თქვენ?

– შეფასებების დონეზე პრეზიდენტის განცხადებები სწორი იყო, მაგრამ მხოლოდ განცხადებები, მგონი, საკმარისი არ არის მას შემდეგ, რაც წელიწადზე მეტია, მძიმე ნარატივი არსებობს. ამ თვალსაზრისით იმედგაცრუება ექნებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარე აუდიტორიას.

– პოლიტპატიმრების საკითხსაც გულისხმობთ?

– მხოლოდ პოლიტპატიმრების საკითხს არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ ზოგადად „ქართულ ოცნებაზე“ ინსტიტუციური ზეწოლის მექანიზმების გამოყენებას. მას უნდა ჰქონდეს გასაგები პოზიცია საკუთარი ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით.

– ზურაბიშვილმა საერთოდ არ ახსენა ბიძინა ივანიშვილი და ოლიგარქიული მმართველობაო. რატომ?

– მგონი, ამის მოლოდინი იყო არასწორი, რომ გამოვიდოდა ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და გალანძღავდა ბიძინა ივანიშვილს საერთაშორისო ტრიბუნაზე. პრეზიდენტმა რომ არ ახსენა ბიძინა ივანიშვილი, ჩემთვის ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. მოგეხსენებათ, ქალბატონი სალომე ბატონი ბიძინას არჩეულია. არა მხოლოდ არჩეული, ბანერებზეც კი ეხატა ბიძინა ივანიშვილი სალომე ზურაბიშვილის ნაცვლად.

– ანუ ვალს გადახდა უნდა?

– იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ბიძინა ივანიშვილი გულუბრყვილო ადამიანია და თანაგუნდელები ხშირად გადააგდებენ ხოლმე, მგონი, გასაგებია, რომ იქნებოდა რაღაც ტიპის შეთანხმება, თუ რა ფარგლებში იმოქმედოს პრეზიდენტმა უფლებამოსილების განხორციელების დროს. აქედან გამომდინარე, მე არ ველოდებოდი ბიძინა ივანიშვილის ევროპარლამენტიდან კრიტიკას, რომ ის ოლიგარქია და ასე შემდეგ.

– ბოლო პერიოდში ვისმენთ მსგავს შეფასებებს, რომ სალომე ზურაბიშვილი უპირისპირდება მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და არა ივანიშვილს, პრეზიდენტი სწორედ მისი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებსო. ამ ვერსიას რამდენად იზიარებთ?

– ჩემი აზრით, სალომე ზურაბიშვილი დაპირისპირების მაქსიმუმს არც „ქართულ ოცნებასთან“ არ აკეთებს, არათუ ბიძინა ივანიშვილთან. მე ამას არ ვამბობ, როგორც კრიტიკას, მე ამას ვამბობ, როგორც ფაქტს, თორემ ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირებას არც მოვთხოვდი ქალბატონ ზურაბიშვილს და მგონია, რომ მისი პოზიციიდან ეს შეიძლება არც იყოს სწორი. ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირების გარეშეც არის შესაძლებელი რაღაცების ხელშეშლა ამ ქვეყანაში, თორემ, ადამიანს მოსთხოვო, ვინც აგირჩია, იმას დაუპირისპირდიო, ჩემი აზრით, არ არის სწორი.

– როგორ ფიქრობთ, პრინციპულად არ იწყალებს ის გვარამიასა და საკაშვილს თუ რაღაც უკიდურეს მომენტს ელოდება?

– მე არა მაქვს ინფორმაცია, რას ფიქრობს ამ საკითხზე სალომე ზურაბიშვილი. რომც მესაუბრა მასთან, არა მგონია, რამე იმისგან განსხვავებული ეთქვა, რაზეც საჯაროდ საუბრობს. მე მაინც მგონია, თვითონ ესმის პრეზიდენტს, რომ ნიკა გვარამია არათუ ინდივიდუალურად არის შესაწყალებელი, არამედ ყველა, ვინც მაგ მუხლით ზის, შესაწყალებელია.

– 12-პუნქტიანი გეგმა შესასრულებელია. ველოდებით კანდიდატის სტატუსს. „ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ევროპასთან დასაახლოებლადო, თუმცა საქმით საპირისპიროს ამტკიცებენ. რამდენად სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს და რის მიღწევას ცდილობს „ქართული ოცნება“?

– კანდიდატის სტატუსს მივიღებთ თუ არა, მგონი, ეს ჩვენზე კი აღარ, უფრო დასავლეთზეა დამოკიდებული. ჩვენზე რაც იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ არ მიგვეღო. მე თუ მკითხავთ, ახლაც ამ პროცესში ვართ. თუმცა, ამის მიუხედავად, ქართველ ხალხს მისცემს თუ არა დასავლეთი კანდიდატის სტატუსს, ეს უფრო კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ესმის ევროპას, რომ მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების ქმედებებისა, ქართველი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს.

– უვიზო რეჟიმის გადახედვაზე ალაპარაკდა ევროკავშირი. რამდენად გვაზიანებს „ოცნების“ პოლიტიკა?

– უვიზო რეჟიმის გადახედვა თუ დადგა დღის წესრიგში, ჩვენი მთავრობის ქმედებების გამო, მგონი, ჩვენ ამის პასუხად ხელისუფლება უნდა შევცვალოთ! ამ შემთხვევაში არ უნდა ველოდოთ სალომე ზურაბიშვილისგან რამე პასუხს და ასევე სხვა გარშემო მოვლენებს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რამდენად გვაზიანებს არსებული ხელისუფლების პირობებში ცხოვრება, თუკი ევროპაში შესვლას აგვიკრძალავენ „ოცნების“ დამსახურებით. ამ შემთხვევაში უფრო ქართველი ხალხის იმედი მაქვს, ვიდრე სხვა გარეშე ძალების. ეს ის მიზანია, რომლის გამოც ქუჩაში უნდა გავიდეს ხალხი და პასუხი მოსთხოვოს საკუთარ ხელისუფლებას.

– როგორ ფიქრობთ, თუ ეს გადაწყვეტილება დადგა, ეს იქნება ბოლო წვეთი ქართველი ხალხის მოთმინების ფიალაში?

– მე ვერ გეტყვით, ქართველი ხალხის მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი რა არის. შეიძლება, აქამდეც უნდა ყოფილიყო ბოლო წვეთი. თუმცა, ბოლო წვეთი იმიტომ არის ბოლო წვეთი, რომ არასდროს იცი, რა იქნება ეს. როცა ამას გაიგებ, მერე უკვე გვიანია.

– რატომ პასიურობს და დუმს საზოგადოება, არა აქვს უკეთესი არჩევანი? შეიძლება, რომ ასე ვიკითხოთ? არ არის ოპოზიცია სათანადო სიმაღლეზე და საზოგადოება ფიქრობს, ვისით ჩაანაცვლოს „ოცნება“? დგას ეს მომენტი დღეს?

– კი, რასაკვირველია და ხალხი ელოდება პასუხს კითხვაზე, თუ რა იქნება ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ შემდეგ. ამ კითხვას ოპოზიცია „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით არ პასუხობს. სხვანაირად შეუძლებელია არსებობდეს ასეთი სიბრიყვე, რომ იცოდე, აი, ეს არის გასაკეთებელი და შეგნებულად არ აკეთებდე.

– ანუ ოპოზიციის დიდი ნაწილი დღეს „ოცნების“ სასიკეთოდ მუშაობს?

– რასაკვირველია, ან შეგნებულად, ან შეუგნებლად. „ოცნების“ სასიკეთოდ რომ არ ემუშავათ, „ქართული ოცნება“ დიდი ხნის შეცვლილი იქნებოდა.

შარლ მიშელი: „საქართველოს მომავალი ევროკავშირის ოჯახშია“

– საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ, რათა განახორციელოს საჭირო რეფორმები, – ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტამდე განაცხადა.

მის სიტყვებს ევროპული საბჭოს პრესსამსახური ავრცელებს.

– სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირის ოჯახშია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს, რათა განახორციელოს საჭირო რეფორმები. ქართველმა ხალხმა, ვფიქრობ, იცის, რომ შეუძლია ჩემი პირადი მხარდაჭერის, ევროკავშირის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. იმედი მაქვს, რომ მომავალი თვეები შესაძლებლობის ფანჯარა იქნება, ნათელი არჩევანის გასაკეთებლად – არა ბრიუსელის დასაკმაყოფილებლად, არამედ ნათელი არჩევანი იმაში დასარწმუნებლად, რომ საქართველოს მომავალი ფუნდამენტურ ევროპულ ფასეულობებს დაეყრდნობა: მშვიდობას, კეთილდღეობას, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, – განაცხადა მიშელმა.

ირაკლი ქადაგიშვილი ზელენსკის განცხადებაზე — „ეს არის გამიზნულად გაკეთებული ერთგვარი შურისძიება“

– განცხადება არის გამიზნულად გაკეთებული, ერთგვარი შურისძიება – მიზანია, რეპუტაციული ზიანი მიაყენოს საქართველოს და გამწვავდეს შიდა ვითარება, რომ საქართველო ესკალაციის გზით წავიდეს რუსეთთან ურთიერთობაში, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა ჟურნალისტებთან უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადების შეფასებისას განაცხადა.

მისი თქმით, ზელენსკის ჰქონდა მოლოდინი, რომ საქართველო საომარ მოქმედებებში იქნებოდა აქტიური, ხოლო როცა ვერ დაინახა, „დემარშები განახორციელა“.

– ზელენსკის ჰქონდა თავიდანვე არასწორი წარმოდგენა და ხედვა და დარწმუნებულო ვარ, ეს განპირობებული იყო მიხეილ სააკაშვილის და იქ სხვა ქართველების, თუ ძალების რწმენებით, რომ საქართველო თუ მოხდებოდა საომარი მოქმედებები, აუცილებლად იქნებოდა აქტიური ამ პროცესში. როცა მან ეს ვერ დაინახა და გასაგებია, რომ ვერ და არ იქნებოდა ასე, მან „დემარშები“ განახორციელა. ახლაც მე მგონია, რომ სწორედ ამ დემარშის გაგრძელებასთან გვაქვს საქმე. ალბათ, მძიმე შეფასება შეიძლება ჩვენი მხრიდან ამას მიეცეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩვენ მაინც ანგარიშს ვუწევთ უკრაინელებს იმ მძიმე ომის გამო, რომელშიც არიან. ეს არის გამიზნულად გაკეთებული განცხადება, ერთგვარი შურისძიება არის ამ მიზეზებიდან გამომდინარე და სწორედ რომ დაზიანდეს საქართველოს რეპუტაცია როცა კანდიდატის სტატუსის მონიჭების საკითხი ახლოვდება, ერთგვარ ულტიმატუმს უყენებს დასავლეთს, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მისთვის მიუღებელი

იქნებოდა, ეს არის და ეს მიზანი აქვს ამ განცხადებას ან მეორე მხრივ ის, რომ საქართველომ უარი თქვას თავის პოლიტიკაზე და ესკალაციის გზით წავიდეს რუსეთის ფედერაციასთან.

მიზანი ერთი არის ის, რომ უნდა, რეპუტაციული ზიანი მიაყენოს საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიცემის წინ და მეორე, რამენაირად გაამწვავოს შიდა ვითარება ასეთი განცხადებების ფონზე, რომ საქართველო ესკალაციის გზით წავიდეს რუსეთთან ურთიერთობაში, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

ცნობისთვის, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოლდოვის უსაფრთხოების სამიტზე განაცხადა: „ვხედავთ, რა ხდება ბელარუსში და რა ხდება საქართველოში, როგორ ჩაითრიეს ეს ქვეყნები სხვადასხვა გზით უკანონობაში“.

გიგა ბოკერია: „საქართველო და ბელარუსი ერთი და იგივე ნამდვილად არ არის“

– საქართველო და ბელარუსი ერთი და იგივე ნამდვილად არ არის, – ასე გამოეხმაურა „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერია უკრაინის პრეზიდენტის განცხადებას, რომელიც ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოლდოვაში ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე გააკეთა.

ბოკერიას თქმით, ივანიშვილის პოლიტიკის მიუხედავად, საქართველო ჯერჯერობით ბელარუსი არ არის, თუმცა ტრაექტორია ამ რეჟიმს ამ მიმართულებით აქვს.

– საქართველოს მოქალაქეებისთვის აღმაშფოთებელი ის კი არ უნდა იყოს, ზუსტი შეფასება და პარალელი გააკეთა უკრაინის პრეზიდენტმა თუ არა, არამედ ის, რაზეც ზელენსკიმ ილაპარაკა – ნატოში გაწევრიანება უნდა მოხდეს უკრაინის, საქართველოს, მოლდოვის, რადგან ნატოს გაფართოებას ალტერნატივა არა აქვს ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით და ამაზე ჩვენივე მთავრობა ხმას არ იღებს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

პრემიერ-მინისტრი ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მეორე სამიტის გახსნის ღონისძიებას დაესწრო

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვის დედაქალაქ კიშინეუში იმყოფება, სადაც ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მეორე სამიტში მონაწილეობს.

ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (EPC) პლენარული სესიის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

სამიტის პლენარული სესია გახსნა მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ. მან ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებს სიტყვით მიმართა.

გახსნის ღონისძიების შემდეგ ევროპული პოლიტიკური გაერთიანების შეხვედრის მონაწილე დელეგაციების ლიდერებმა ერთობლივი ფოტო გადაიღეს.

რიგით მეორე სამიტს ევროპის ქვეყნების 47 ლიდერი და ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის ხელმძღვანელები ესწრებიან.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ზელენსკიმ ქართველი ხალხი და ხელისუფლება ერთმანეთისგან გამიჯნა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ახლა უკრაინის წყალობით შეგვიძლია, ისტორიულ შანსს ხელი გამოვკრათ. ძალიან დიდ ხანს, საუკუნეების განმავლობაში, ჩარაზულ კართან აღმოვჩნდით და ეს მოღალატეები ამ შანსს გვართმევენ“



ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის მიერ ბელარუსისა და საქართველოს ერთ სიბრტყეში მოხსენიებას თბილისში ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი გამოხმაურება მოჰყვა.

– ფიქრობენ, ხალხს მოატყუებენ ან შიგნით, ან გარეთ?! არა – თავს უფრო იტყუებენ. ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცის. ახალი ამბავია საქართველოს ის პოზიცია, რომელიც დღეს აქვს?! რა შუაშია ზელენსკი?! ამ ხელისუფლების დიდი მეოხებით საქართველო ნამდვილად გახდა ბელო-გრუზია.

ზელენსკიმ ქართველი ხალხი და ხელისუფლება გამიჯნა ერთმანეთისგან. მას ხომ არ უთქვამს, რა დაემართა ქართველ ხალხს, როგორ იცვალეს კურსი ან მისწრაფებებიო. აქ რა იყო საწყენი. რაც იყო, ის გვითხრა. რატომ ეწყინათ?! იმ განცხადებების შემდეგ, რომლებსაც ორი ირაკლი ერთმანეთის მიყოლებით აკეთებს დასავლელი ლიდერების, უკრაინის ხელისუფლების მისამართით, არაფერი არ იყო საწყენი.

ამ ხელისუფლებამ რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მიზანმიმართულად აკეთა ანტიდასავლური განცხადებები, არ გაუკეთებია არავის არასდროს ამ ქვეყანაში. ყველა ხელისუფლება, რომლებიც აქამდე გვყოლია, იცავდა დასავლურ კურსს და ცდილობდა, როგორმე გავმხდარიყავით ნატოს წევრი, ევროკავშირის წევრი, მაგრამ მაშინ არ იყო ასე ახლოს ეს შესაძლებლობები. ახლა უკრაინის წყალობით შეგვიძლია, ისტორიულ შანსს ხელი გამოვკრათ, ძალიან დიდ ხანს, საუკუნეების განმავლობაში, ჩარაზულ კართან აღმოვჩნდით და ეს მოღალატეები ამ შანსს გვართმევენ. რა არის აქ საწყენი?! იმ კაცმა პირდაპირ უთხრა სათქმელი. რუსეთის იმპერიალისტური, მკვლელი რეჟიმის მოკავშირეობა კი ნამდვილად საწყენია. ბევრი არ გვიკლია ბელარუსამდე. მშიერი, ოდნავ შენიღბული ბელარუსი ვართ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კრემლის კართან დაჩოქებას ვხედავთ. თითქოს მშვიდობას ვინარჩუნებთო. პუტინს არ უნდა, არ აწყობს ომი, თორემ, ვის დაეკითხება, ხომ ერთ საათში დაამთავრებს ამათ ხელში ყველაფერს. კაპიტულაციაზე მიდიან. ის კიდევ ფეშქაშად ფრენებს აღადგენს. სამარცხვინოა ეს ყველაფერი, მაშინ, როდესაც ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია და რუსის ჯარი დგას. ეს ვითომ არც არაფერი.

– „ოცნების“ წევრმა ქადაგი შვილმა განაცხადა, ზელენსკის მხრიდან შურისძიება, გამიზნული განცხადებაა.

– საერთოდ კომენტარიც კი არ ღირს, ისეთი უაზრო განცხადებაა. რა შურს ზელენსკის, პუტინმა ტერიტორიები დაგვიბრუნა, ჯარი გაიყვანა თუ რომელი ერთი დათმო – აფხაზეთი, სამაჩაბლო თუ ორივე ერთად?! სასაცილოა აქ შურზე საუბარი.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ბრიუსელში პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ დადებითი სიგნალები მოდის ევროკავშირიდან, რომ შესაძლოა სტატუსი მოგვცენ?

– ასე პირდაპირ, არა მგონია, სტატუსი მოგვცენ, მაგრამ ერთგვარი წინაპირობით, დათქმით, პირობადებულ სტატუსს, მეც ვფიქრობ, რომ მოგვცემენ. ეს არ იქნება სრულყოფილი სტატუსი, მაგრამ მოგვცემენ, რადგან ქართველი ხალხი იმსახურებს ყოფნას ევროპაში და არა დამყაყებულ რუსეთთან. საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი აქტიურობით, გამბედაობით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად ეს დაიმსახურეს. მე ვფიქრობ, რომ ევროკავშირი ამას დაინახავს და დააფასებს.

ივანიშვილის ხელისუფლებას არ ექნება არანაირი მორალური უფლება, ეს მიიწეროს. ეს იქნება ქართველი ხალხის გამარჯვება მათზე, სწორედ მათზე და არა ევროკავშირზე, რადგან მათ არ უნდათ სტატუსი და ამ სტატუსისთვის იბრძვის ხალხი. ამიტომ, გამორიცხულია, ვერ მიიწერენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან ეცდებიან, მეტიც, მთელ წინასაარჩევნო კამპანიასაც კი ამაზე ააგებენ, მაგრამ ეს არ უნდა დაუშვას ხალხმა. ხალხმა ეს ხელისუფლება უნდა გაისტუმროს. მართალია, ხალხი იმედგაცრუებულია ოპოზიციისაგან და, ხშირ შემთხვევაში, სამართლიანადაც, მაგრამ, მაინც მგონია, რომ შეიძლება ნორმალური არჩევანის გაკეთება, ისეთი არჩევანის, რომელიც არ იქნება ამ ქვეყნისთვის დამანგრეველი და დამღუპველი. ერთი პარტიის მმართველობა თავისი ბელადით ერთხელ და საბოლოოდ უნდა დასრულდეს. უნდა ავირჩიოთ მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც დაბალანსებულ მთავრობას დააკომპლექტებს, სადაც არავის არ ექნება ერთპიროვნული ძალაუფლება. ბელადების მმართველობა უნდა დასრულდეს. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს უნდა შევძლოთ. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ ივანიშვილი ყველაფერს იღონებს, რომ უსასრულოდ დარჩეს ხელისუფლებაში და ძალაუფლება შეინარჩუნოს.

მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველო, ბელარუსთან ერთად, ერთ კონტექსტში მოიხსენია. ზელენსკის განცხადებით: „ყველა ევროპული ქვეყანა, რომლებიც რუსეთს ესაზღვრება და არ სურთ, რუსეთი მათ ტერიტორიაზე შეიჭრას და დაანაწევროს, ევროკავშირისა და ნატოს წევრი უნდა გახდეს. ვხედავთ, რაც ხდება ბელარუსსა და საქართველოში, ვხედავთ, რომ ეს ერები სტრესში არიან, ვხედავთ, როგორ ხდება მათი ჩათრევა ამ განუკითხაობაში“. აღნიშნულ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე პასუხობს.

„ზელენსკიმ დააკონკრეტოს, რა უნდა“

„ვერცერთი ფაქტობრივი მტკიცებულება ვერ დადეს, რომ საქართველო რაღაცნაირად ეხმარება რუსეთს სანქციებისთვის გვერდის ავლაში“

გულიკო ბალაძე

– ბატონო ზაალ, ზელენსკიმ საქართველო და ბელარუსი, რომელიც, მოგეხსენებათ, რუსეთთან ალიანსშია, ერთ კონტექსტში მოიხსენია. მისი თქმით, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებს რუსული ჯარის შეჭრისაგან ევროკავშირისა და ნატოს წევრობა გადაარჩენს. ვხედავთ, როგორ სტრესში არიან ქართველი და ბელარუსი ერები, ვხედავთ, როგორ ითრევენ მათ უკანონობაშიო. ეს როგორ შეიძლება გავიგოთ? მისი ასეთი დამოკიდებულება რას ნიშნავს?

– ზელენსკი ასეთ განცხადებებს პირველად არ აკეთებს. მის განცხადებას ჩვეულებრივად ვუყურებ. მსგავსი განცხადებები მას არაერთხელ გაუკეთებია და საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხისაგან არაერთხელ გაუყვია. ამდენად, არაფერი არაჩვეულებრივი ამ განცხადებაში არ არის.

– არაჩვეულებრივი არაფერია, მაგრამ აღნიშნული განცხადება ზელენსკიმ კიშინიოვში, მსოფლიო ლიდერების შეხვედრაზე გააკეთა.

– ეს უკრაინის ამჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული პირდაპირი კონფრონტაციული ნაბიჯია.

არც ზელენსკი და არც მისი უახლოესი თანამზრახველები თავიანთ სურვილს არ მალავენ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უნდა შეცვალონ.

ამას შეიძლება ასე პირდაპირ ვერ ამბობენ, მაგრამ მათი განცხადებები იმ ნიადაგის მომწიფებას ემსახურება, რათა ევროპელებში შექმნან განცდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არის ანტიდასავლური, ანტიევროპული და უნდა შეიცვალოს.

მე ამას განვიხილავ, როგორც საქართველოს წინააღმდეგ გადადგმულ მტრულ ნაბიჯს. სხვა სახელი ამას არ შეიძლება დაერქვას, რადგან არაერთი ინფორმაცია გამოქვეყნდა იმის თაობაზე, რომ საქართველო სანქციების რეჟიმს იცავს.

მიუხედავად მათი ვერბალური მტკიცებისა, ვერცერთი ფაქტობრივი მტკიცებულება ვერ დადეს, რომ საქართველო რაღაცნაირად ეხმარება რუსეთს სანქციებისთვის გვერდის ავლაში.

– სხვათა შორის, იმავე შეხვედრაზე, მოლდოვაში, საქართველოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრიც იმყოფებიან. პრემიერმა ამ შეხვედრაზეც (სხვა შეხვედრებზეც) განაცხადა, რომ საქართველო ევროკავშირისა და ნატოს წევრობისთვის მზადაა. ამ ვითარებაში პრემიერმა ზელენსკის განცხადებაზე უნდა უპასუხოს?

– რა თქმა უნდა, უნდა უპასუხოს.

– ღარიბაშვილი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ზელენსკის მიერ თუ ზოგადად უკრაინიდან გაკეთებულ განცხადებებზე ამბობენ, ჩვენ ახლა არ ვუპასუხებთ, უკრაინა ომშიაო.

– უნდა ვუპასუხოთ, რადგან არა ერთი და ორი განცხადება დარჩა უპასუხოდ იმის გამო, რომ დავინდეთ, უკრაინა ომშიაო, მაგრამ, რადგან პროვოკაციულმა განცხადებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მათი უპასუხოდ დატოვება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შეცდომა იქნებოდა.

– როგორ ფიქრობთ, ზელენსკის ეს განცხადება პუტინის მხრიდან საქართველოსთან ფრენების აღდგენისა და უვიზო რეჟიმის შემოღების გადაწყვეტილების გამოძახილი ხომ არ არის?

– არ ვიცი, შეიძლება, ესეც არის მიზეზი.

– ზელენსკი ამბობს, საქართველოს უკანონობაში ითრევენო. საინტერესოა, რას გულისხმობდა, საქართველოს რა უკანონობაში ითრევენ?

– მაშინ, ზელენსკიმ დააკონკრეტოს, რა უნდა.

„ომის შემდეგ საქართველოში იარაღზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან ხალხს ეშინია“

გამოცემა Eurasianet წერს, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსებმა იარაღის მაღაზიებს მიაშურეს და იმდენი იარაღი იყიდეს, რომ მეზობელ ყაზახეთში დეფიციტიც კი გამოიწვიეს.

– იარაღის მაღაზიები გადარჩენას ძლივს ახერხებენ, – ჩივის Eurasianet-თან ნიაზ ნურიევი, Jaguar Astana-ს იარაღის მაღაზიის მფლობელი, – ჩვენი ბიზნესი ადრე ძალიან მომგებიანი იყო, მაგრამ ახლა დახურვასთან ვართ ახლოს.

გასულ წელს რუსეთში იარაღზე მოთხოვნის ზრდამ აიძულა იქაური მწარმოებლები, გაორმაგონ ყაზახეთში ექსპორტირებული იარაღის ფასი. ორგანიზაცია Koramsak-ში, რომელიც იარაღებს ლობირებს, ამბობენ, რომ ყაზახეთის ბაზარზე, დაახლოებით, 40 პროცენტია რუსული პროდუქცია და ის, ტრადიციულად, გაცილებით უფრო იაფი იყო, ვიდრე დასავლური ანალოგები.

სხვა ხელსაყრელი საიმპორტო პარტნიორები შეერთებული შტატები, გერმანია, ესპანეთი, თურქეთი და ჩეხეთია, თუმცა ფასები მათ პროდუქტებზეც გაიზარდა.

ყაზახეთის იარაღების ინდუსტრიის პრობლემები აქ არ მთავრდება. ქვეყანაში ამ სექტორზე უსაფრთხოების ზომებისა და ფლობის ნებართვების გამკაცრებაც უარყოფითად აისახება. გასათვალისწინებელია საკუთრებაში უკანონოდ არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვაც.

ლეგალური ბაზრის ვარდნა განსაკუთრებით იმედგამაცრუებელია იარაღით მოვაჭრეებისთვის, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ რუსეთზე სანქციების დაწესებით მოკლევადიან ხეირს მიიღებდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ნაღდი ფულის გადამტანი რუსების დიდი რაოდენობა გადავიდოდა საზღვარზე იმპორტირებული ცეცხლსასროლი იარაღის საყიდლად.

თეორიულად, პროცედურა მარტივი იყო – მყიდველებს სჭირდებოდათ მიეღოთ დოკუმენტი რუსეთის დიპლომატიური მისიისგან, რომელიც დაადასტურებდა კრიმინალური ისტორიის არარსებობას. მაგრამ, სანამ ბუმი დაიწყებოდა, რუსეთის საელჩომ და საკონსულოებმა შეწყვიტეს ამ დოკუმენტების გაცემა, რაც, ცალსახად, საკუთარი ბაზრის დასაცავად გადადგმული ნაბიჯია.

ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში, სადაც ყაზახეთის შემდეგ ყველაზე მეტი რუსი მიგრანტი შემოვიდა. „ბიზნესპრესნიუსი“ სწორედ ამ საკითხით დაინტერესდა და იარაღის რამდენიმე ქართულ მაღაზიას დაუკავშირდა.

პირველი მათგანი სამონადირეო იარაღის მაღაზია „ამაზონია“, რომლის დირექტორი გოჩა შათირიშვილი ჩვენთან საუბრისას ყაზახეთთან შედარებით განსხვავებულ სურათს ხატავს და ამბობს, რომ ქვეყანაში რუსეთიდან იარაღი არ შემოდის, ხოლო სამონადირეო იარაღზე მოთხოვნა, პირიქით, შემცირებულია.

რუსეთიდან ჩვენ იარაღი არასდროს არ შემოგვქონდა, ძირითადი იმპორტიორები თურქეთი, იტალია, გერმანია და ამერიკა არიან. რეექსპორტით კი სომხეთსა და აზერბაიჯანში გადიოდა. ახლა კი მთლიანად მოკლებულია ბრუნვა და გაყიდვები, არც ადგილობრივად იყიდება და არც რეექსპორტზე გადის.

კლება პანდემიის შემდეგ დაიწყო და ბოლო პერიოდში კიდევ უფრო დაჩქარდა. სხვა ქვეყნებმაც კი უარი გვითხრეს, აღარ გვაწვდიან და შესაძლოა, სწორედ ისინი იყვნენ ჩართულნი ომში, თუმცა, რომელ მხარეს, ვერ გეტყვით, – ამბობს შათირიშვილი.

„ამაზონის“ დირექტორი ბრუნვის კლებას ადგილობრივ ბაზარზე საკანონმდებლო ცვლილებებსა და სამონადირეო კუთხით მოსალოდნელ შეზღუდვებს უკავშირებს. თუმცა, მისი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა კერძო პირების მიერ იარაღის შემოტანაა, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა საიტზე უფრო იაფად ყიდიან – „ერთ ადამიანს ოთხი იარაღის შემოტანის უფლება აქვს, გადადიან და შემოაქვთ. მაღაზიებში ბრუნვის შემცირების ძირითადი მიზეზი სწორედ ესაა“.

კიდევ ერთი მაღაზია, რომელსაც BPN დაუკავშირდა, „კალიბრია“ და ის არ ვაჭრობს მხოლოდ სანადირო თოფებით. მაღაზიის დირექტორი შორენა ციცქიშვილი კი გვეუბნება, რომ ომის შემდეგ მათთან იარაღზე მოთხოვნა გაზრდილია.

– ომის შემდეგ ქვეყანაში მოთხოვნა გაიზარდა, რადგან ხალხს ეშინია, თუმცა აქ ერთი პროცენტიც კი არ იქნება რუსების წილი, რადგან უცხოელებზე გაფორმება რთულია. წინა წელთან შედარებით ზუსტ პროცენტულ სხვაობას ვერ გეტყვით, მაგრამ აშკარად გაზრდილია.

რუსეთიდან ომის შემდეგ იარაღი აღარ შემოდის, არა იმიტომ, რომ ისინი არ გვაძლევენ, არამედ ჩვენ ვიკავებთ თავს მათთან ურთიერთობაზე. ძირითადად, ამერიკიდან, თურქეთიდან შემოდის და ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, – ამბობს ციცქიშვილი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ომს ამ სექტორზე საქართველოში არ ჰქონია იმგვარი გავლენა, როგორიც ყაზახეთზე, თუმცა ეფექტი მაინც შეინიშნება. ეს ეფექტი კი სწორედ გაზრდილ მოთხოვნაში აისახება.

როდის იწყება უკრაინული კონტრშეტევა?

„მოკავშირეებთან ერთად ირანზე ზემოქმედების საშუალებები უნდა მოვნახოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ უტევს აგრესორი რუსეთი კიევს? რატომ არ უნდა დამშვიდდეს უკრაინა იმის მოლოდინში, რომ რუსეთს რაკეტების მარაგი ეწურება? ჭიანურდება თუ არა კონტრშეტევა? — ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას მოსაზრებები გააცნო უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ყოფილმა მოადგილემ იგორ რომანენკომ.

„კონტრშეტევის მოლოდინში მოთმინება უნდა გამოვიჩინოთ“

— როგორ აფასებთ ყოველდღიურ შეტევებს კიევზე? რისთვის კეთდება ეს სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით?

— სწორედ ამ ორი მიმართულებით სახავენ რუსები თავიანთ ამოცანებს. დავიწყოთ სამხედრო მიმართულებით. ამჟამად მთავრდება ჩვენი სტრატეგიული შეტევითი რეზერვის ფორმირება და რუსები ამას შორიდან ვერ დააკვირდებიან. ისინი აძლიერებენ ყველა სახის დაზვერვას, ქმნიან თავიანთ რეზერვს. მათი სროლების მთავარი მიზანია ჩვენი შესაძლებლობების შემცირება შეტევითი და კონტრშეტევითი ხასიათის ოპერაციის მომზადებისას.

ვიტყვი კიევზე შეტევების პოლიტიკურ შემადგენელზეც. ეს არის პასუხი დიდი სიშორის რაკეტებზე, რომლებსაც მოკავშირეები — დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია უკრაინას გადმოსცემენ. ეს ასევე შეიძლება იყოს საპასუხო რეაქცია დარტყმებზე, რომლებიც მიადგა ყირიმის სამხედრო ობიექტებს და განხორციელდა რუსეთის ტერიტორიაზე. თუ არის მიზეზის ძიების სურვილი, ის ყოველთვის მოიძებნება, თუ არ არის, მისი ხელოვნურად შექმნაც შესაძლებელია. ეს არის ჩვენს მოსახლეობაზე, განსაკუთრებით, კიეველებზე ზეწოლის ფაქტორი. კიევი ხომ გადაწყვეტილებების მიღების ცენტრია.

— ადრე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მტერი შეზღუდულია ამა თუ იმ რაკეტებში, რომ მარაგი ილევა. ახლა ვაკვირდებით, რომ მტერს შეუძლია ინტენსიური შეტევების განხორციელება. რა არის ამის მიზეზი?

— რუსეთს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები ზუსტი რაკეტების მხრივ. ეს განსაკუთრებით ეხება ბალისტიკურ რაკეტებს, ისეთებს, როგორებიცაა „ისკანდერი“, „კალიბრი“. ასეთი სახის რაკეტების ნაკლებობის გამო მტერი ცდილობს, მეტად გამოიყენოს უპილოტო საფრენი აპარატები, მაგალითად, ირანული დრონები ბალისტიკურ რაკეტებთან ერთად.

ჩვენ ვერ დავიკავებთ მომლოდინე პასიურ პოზიციას — ვერ ჩავხსდებით სანგარში და ვერ დავიცდით, როდის გამოილევა მათი შესაძლებლობები. ისინი არ გამოილევა რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე მტკიცე გამარჯვების გარეშე. რუსეთი მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს. აუცილებელია მათი მატარებლების, გასაშვები მოწყობილობების განადგურება ხმელეთსა და გემებზე, აეროდრომებზე და ა.შ. ყველაფერი უნდა განადგურდეს რაკეტების გაშვებამდე.

გარდა ამისა, მოკავშირეებთან ერთად საჭიროა ირანზე ზემოქმედების საშუალებების მოძიება. ისრაელი უკვე აყენებს დარტყმებს „შაჰედების“ წარმოებას. ასევე აუცილებელია პოლიტიკური ნაბიჯები.

— პრეზიდენტმა ზელენსკიმ მოუწოდა სამხრეთ კორეას, მოაწოდოს უკრაინას თავდაცვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები. არსებობს თუ არა ჩვენი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების საშუალება?

— დიახ, ასეთ საშუალებები არსებობს. სამხრეთი კორეა სამხედრო ტექნიკური კუთხით განვითარებული სახელმწიფოა. ის ემზადება შესაძლო ომისათვის ტოტალიტარულ ჩრდილოეთ კორეასთან. იმასაც ვამჩნევთ, როგორ იცვლება ნეიტრალური ქვეყნების პოზიცია, მაგალითად, შვეიცარიის მიდგომა. უკრაინამ უნდა იმუშაოს ყველა სახელმწიფოსთან, რათა აგრესორთან ბრძოლაში აამაღლოს თავისი პოტენციალი.

— მიიჩნევთ თუ არა, რომ უკრაინის თავდაცვის ძალების კონტრშეტევის გადადება ხდება?

— ყურადღებას მივაპყრობ ოფიციალურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ კონტრშეტევისთვის მომზადება უნდა დამთავრდეს გაზაფხულის ბოლოს — ზაფხულის დასაწყისში. ალბათ, ეს ზაფხულის დასაწყისი იქნება. ჯერ არ შემოსულა მთელი დასავლური ტექნიკა, რომელზეც საუბარი იყო. ჩვენთვის მარტო მისი მოწოდება არ კმარა. აუცილებელია, რომ ის აღმოჩნდეს საჭირო ადგილებში, ეკიპაჟები კი მზად იყვნენ მისი გამოყენებისთვის.

უნდა გვქონდეს პრაგმატული რაციონალური მიდგომა, მომთმენები უნდა ვიყოთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მიუღებელია ნებისმიერი კრიტიკა იმ ძალისგან, რომელმაც ომი ვერ აიცილა, დაკარგა და რუსეთს ჩააბარა ჩვენი ტერიტორიები“

— მთავარი მინდა ვთქვა, ასეთ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყანა არის თავად ოკუპირებული, თავად თავისი გამოწვევები აქვს და აქვს გაცხადებული მიზანი, რომ გახდეს ნატოს და ევროკავშირის წევრი, ამ დროს ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს რომ ასეთი არასერიოზული ბრალდებებით ასაჩუქრებენ, რა თქმა უნდა, არის ძალიან სამწუხარო — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს მოლდოვაში განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მიუღებელია ნებისმიერი კრიტიკა იმ ძალისგან, რომელმაც ომი ვერ აიცილა.

— ეს ჩემთვის იმდენად არასერიოზული იყო, თქვენ რომ ეს შეკითხვა არ დაგესვათ, ალბათ მე ამაზე არ გავაკეთებდი კომენტარს სხვაგან, ჩემი ინიციატივით, მაგრამ რადგანაც მკითხეთ, მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო ჩვენი საზოგადოებისთვის და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, რომ მე ახალი არაფერი მითქვამს, ამას იმეორებდნენ და ამბობდნენ ჩვენი ომის შემდეგაც, თუ კარგად ნახავთ თქვენ ყოფილი და მოქმედი ევროპელი ლიდერების გამონათქვამებს. სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს, ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენი გამოვიდა, იგივე დარბაზში, თუ არ ვცდები, ბრატისლავაში, მანაც სხვა ფორმულირებით, უბრალოდ სიტყვა ნატოს მაგივრად თქვა ევროპული ოჯახი, და თქვა, რომ უკრაინა იმის გამო ისჯება, თუ როგორც იყო, მე არ მინდა დავამახინჯო მისი ნათქვამი. ევროპული არჩევანის გამო თურმე მოხდა ეს ომი.

მე ვთქვი, რომ უკრაინის სურვილის გამო მოხდა და ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით. ეს არის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ ამახინჯებენ სიმართლეს, რეალობას. აქ ახალი არაფერი არ თქმულა. მე რა თქმა უნდა, ნატო კი არ დავადანაშაულე ომის დაწყებაში, ეს რა თქმა უნდა აბსურდია, ამაზე როგორ შეიძლება სერიოზულმა ადამიანმა სერიოზული კომენტარი გააკეთოს.

მთავარი მინდა ვთქვა, ასეთ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყანა არის თავად ოკუპირებული, თავად თავისი გამოწვევები აქვს და აქვს გაცხადებული მიზანი, რომ გახდეს ნატოს და ევროკავშირის წევრი, ამ დროს ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს რომ ასეთი არასერიოზული ბრალდებებით ასაჩუქრებენ, რა თქმა უნდა, არის ძალიან სამწუხარო, თუმცა მე მავნებელი, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების მოღალატე და ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების და მათ მიერ დაქირავებული კორუმპირებული ლობისტებისგან არაფერი არ მიკვირს. საერთოდ არც მაინტერესებს, სიმართლე გითხრათ, ისინი რას იტყვიან. მე მაინტერესებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ინტერესები და ჩვენი ხალხის ინტერესები. მით უმეტეს მიუღებელია ნებისმიერი კრიტიკა იმ ძალისგან, რომელმაც ომი ვერ აიცილა, დაკარგა და რუსეთს ჩააბარა ჩვენი ტერიტორიები, დაუთმო, შემოიყვანა ჯარი და დააკანონა ოკუპაცია და ამის შემდეგ გადასცა რუსულ კომპანიებს სახელმწიფო კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, გაუხსნა უვიზო რეჟიმი და ათასი პრივილეგია მიანიჭა. ამ ძალასთან, რომელმაც უღალატა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, მე არავითარი დიალოგი არ მექნება და მათი მხრიდან ნებისმიერი კრიტიკა არის მიუღებელი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს სურვილი და მოტივაცია მოიტანს კონკრეტულ შედეგებს.

— თუ რომელიმე ხელისუფლებამ რაიმე კონკრეტული ხელშესახები გააკეთა ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის ან იმავე ნატოს გზაზე, ეს ვართ ჩვენ. პირადად მე მქონდა პატივი, ხელი მომეწერა ასოცირების შეთანხმებისთვის, თავისუფალი ვაჭრობისთვის. უვიზო რეჟიმი. ჩემს დროს დაიხურა ვალდებულება და ამის შემდეგ გაიხსნა უვიზო რეჟიმი. მე მქონდა პატივი, ხელი მომეწერა ოფიციალურ განაცხადზე, რომელიც ჩვენ შარშან შევიტანეთ და მივიღეთ ევროპული პერსპექტივა ამის საფუძველზე. რაც შეეხება ნატოს, ჩვენ არ შეგვიჩერებია ძალისხმევა. ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი. ჩვენი ჯარები იყვნენ ავღანეთში, მანამდე — ერაყშიც, ჩემი პრემიერობის დროს გავაგზავნეთ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ჩვენი ჯარი. ასე, რომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენი მოტივაცია მოიტანს კონკრეტულ შედეგებს და ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი, რომ კიდევ უფრო მეტად დავაახლოვოთ ჩვენი ქვეყანა ევროპასთან და ნატოსთან, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ხშირად ზელენსკის და მისი მთავრობის განცხადებები სრულ თანხვედრაშია ჩვენი ქვეყნის შიგნით მოქმედ მტრულ ძალებთან, დესტრუქციულ ოპოზიციასთან.

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პრეზიდენტი ზელენსკი დაესწრო ამ შეხვედრას. ერთი რამ მინდა გავიმეორო ისევ, მე ძალიან განვიცდი იმას, რაც ხდება უკრაინაში, ათასობით ადამიანი იღუპება ყოველდღე, ნადგურდება ინფრასტრუქტურა, ქალაქები და ა.შ. ბავშვები, ქალები, მოხუცები — ყველანი დაზარალდნენ და ზარალდებიან ამ ბრუტალური და სასტიკი ომით. მე ერთი რამ მინდა კიდევ ერთხელ ვუსურვო ომში მყოფ ქვეყანას, მშვიდობა, ამ ომის მალე დასრულება და ქვეყნის გამთლიანება.

რაც შეეხება ზელენსკის განცხადებას, მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, ეს ქვეყანა ომშია, თვითონაც ომშია და მე არ მინდა, გარკვეული სპეკულირების საფუძველი და საშუალება მივცე სხვა, ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნე ადამიანებს. ასევე დავამატებდი, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ხშირად ზელენსკისა და მისი მთავრობის განცხადებები სრულ თანხვედრაშია ჩვენი ქვეყნის შიგნით მოქმედ მტრულ ძალებთან, ვგულისხმობ დესტრუქციულ ოპოზიციას, რომელიც არაფერს აკეთებს თუნდაც ევროინტეგრაციის გზაზე, რომ გაიმარჯვოს ჩვენმა ქვეყანამ, მიიღოს სტატუსი და ეს იქნებოდა ჩემი კომენტარი.

ჩემი ერთ-ერთი მთავარი სათქმელი, რაც მე ჩამოვიტანე ჩვენს ევროპელ კოლეგებთან, იყო შემდეგი, რომ თუ რეალურად ევროპასა და ჩვენს ევროპელებს სურთ, იხილონ მინიმუმამდე დაყვანილი, შემცირებული პოლარიზაცია, მე მათ ვუთხარი, რომ სტატუსის მონიჭება ავტომატურად შეამცირებს, დაიყვანს მინიმუმამდე ქვეყნის შიგნით არსებულ პოლარიზაციას. ეს ხარჯი ავტომატურად დაიწევს. მათ ეს არგუმენტი მოისმინეს და ვფიქრობ, გაიზიარეს, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ხელისუფლების ამოცანაა ქვეყნის გაერთიანება მშვიდობით, სტაბილურობითა და კეთილდღეობის პერსპექტივით.

— რაც შეეხება ამ საკითხს, ისევ გავიმეორებდი, რომ ძალას, რომელმაც სწორედაც რომ განაპირობა ჩვენი ტერიტორიების ჩაბარება რუსეთისთვის, რომელმაც განაპირობა ეს დიდი უბედურება და ამის შემდეგ მოუწერეს ხელი კაპიტულანტურ რეზოლუციას, რა თქმა უნდა, ასევე მიუღებელია და საერთოდ სასაცილოა, რაზე უნდა გავაკეთო კომენტარი. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის კონტროლირებადი საზღვარი თითქმის 600 კილომეტრამდეა, კონტროლირებადი, არაკონტროლირებადი არის 300 კილომეტრამდე და ჩვენ ამის გამო ძალიან ბევრს ვმუშაობთ, რომ ეს 300 კილომეტრიც დავიბრუნოთ და გახდეს შესაძლებელი და რეალობად ვაქციოთ ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, გაერთიანება და დეოკუპაცია მშვიდობიანი გზით და ამაზე, მგონი, არცერთ ნორმალურ ადამიანს კითხვა არ გაუჩნდება. ჩვენი მთავარი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის გაერთიანება მშვიდობით, სტაბილურობითა და კეთილდღეობის პერსპექტივით, — განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის თქმით, მათ ძალიან კარგად ესმით, რომ საქართველო ძალიან რთულ მდგომარეობაშია.

— ისინი აღიარებენ იმ პროგრესს, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, ესმით ძალიან კარგად, რომ ჩვენი ქვეყანა არის ძალიან რთულ მდგომარეობაში. მიმაჩნია, რომ ძალიან რთული იქნება სხვა აზრის გამარჯვება, იმდენად კარგად ესმით ეს რეალობა, — განაცხადა პრემიერმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ევროპელი კოლეგები მის იმ მოსაზრებასაც ეთანხმებიან, რომ 2008 წლის ომს მაშინდელმა მსოფლიომ და საერთაშორისო თანამეგობრობამ არასათანადო ყურადღება მიაქცია, რაც შეცდომა იყო და ამ შეცდომის შედეგებს ვიმკით დღესაც.

— მე კიდევ ერთხელ ვუთხარი ჩვენს ევროპელ კოლეგებს, რომ ეს იყო შეცდომა, რომ არ მიექცა სათანადო ყურადღება აი ამ ოკუპაციას, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დროებით ოკუპაციას. ასევე მე მათ ვუთხარი, რომ, სამწუხაროდ, მაშინ არავის არ გამოუთქვამს ინიციატივა, რომ დაეწესებინათ სანქციები რუსეთისთვის და რაიმე სერიოზული რეაგირება მოეხდინათ. ეს იყო შეცდომა და ჩვენ ამ შეცდომის შედეგებს ვიმკით დღესაც. ეს არის პრობლემა. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, ყველა მეთანხმებოდა ამ შეფასებაში. ასევე მე მქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სიმბოლური, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი ეტაპის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. მე მათ ვუთხარი, რომ ჩვენი ქვეყანა არის სრულად მზად და დაახლოებით ივნისის ბოლოს დავასრულებთ ყველა ამ პრიორიტეტის შესრულებას და არჩევანი შემდეგ უკვე, ბოლო სიტყვა, სათქმელი იქნება ევროპაზე. მე მათ ვუთხარი, რომ ამ მეტად რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ერთადერთი სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება არსებობს ევროპაში, რომ როგორც მოლდოვასა და უკრაინას მისცეს სტატუსი, საქართველოსაც მოგვანიჭონ სტატუსი. ვუთხარი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, ეს იქნება მორიგი უსამართლობა და იქნება ძალიან დიდი სტრატეგიული შეცდომა. ამაშიც ჩვენი კოლეგები მეთანხმებიან, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ლევან ბეჟაშვილი: „პრეზიდენტის გამოსვლამ ორაზროვნების შეგრძნება დატოვა“

— პრეზიდენტის გამოსვლამ ორაზროვნების შეგრძნება დატოვა — ყველაფერზე საუბრობ, მაგრამ შენი მოქმედებები არ გამოხატავს იმ სულისკვეთებას, რომელსაც საქართველოსგან ითხოვენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები და რომელიც ავალდებულებს პრეზიდენტს, კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედოს და საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელიც კანდიდატის სტატუსის მიღებას წაადგება, — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა ევროპარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელ გამოსვლას.

ბეჟაშვილის აზრით, პრეზიდენტის გამოსვლისა და ევროპარლამენტარების შესაბამისი გზავნილების მიღების შემდეგ პრეზიდენტი გვარამიასა და სააკაშვილს გაათავისუფლებს.

— სალომე ზურაბიშვილმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიიღო გზავნილები ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან, ევროპარლამენტარებისგან, რომ მიხეილ სააკაშვილის და ნიკა გვარამიას გათავისუფლება უნდა მოხდეს. ეს გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვებას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ გუშინდელი დღის შემდეგ და ევროპარლამენტარების შესაბამისი გზავნილების მიღების შემდეგ პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში და პირადი პასუხისმგებლობით იმოქმედებს და ნიკა გვარამიას და სააკაშვილს გაათავისუფლებს, — განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

გარდა ამისა, ბეჟაშვილის თქმით, პრეზიდენტისგან გვარამიას და სააკაშვილის გათავისუფლება უნდა მოითხოვონ.

— საქართველოს პრეზიდენტთან მიმართებით მოლოდინის რეჟიმი აღარ უნდა გვქონდეს და ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მისგან, იმოქმედოს კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ფარგლებში და მიიღოს გვარამიასა და სააკაშვილის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, — განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „სტრასბურგმა გადაწყვიტა, რომ საქართველოს მთავრობა მართალია და სააკაშვილი მტყუანია“

– არგუმენტი არ არსებობს, მე ამას ვეტყოდი ყველა კრიტიკოსს, მათ შორის, იმ დაქირავებულ ლობისტებს, რომელთაც ძალიან დიდი რაოდენობით თანხა აქვთ აღებული სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც და შემდეგაც, ახლა, ჩვენ კარგად ვიცით, მათ შორის, ბოლო პერიოდში, ვიტყოდი, რომ მილიონები დახარჯეს თუნდაც ჩვენი ქვეყნის იმიჯის დაზიანების კამპანიაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოლდოვაში განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სააკაშვილის ოჯახმა მილიონობით დოლარი გადაიხადა, დახარჯა, როგორც ამერიკულ კომპანიებს გადაუხადა, ასევე ევროპულ კომპანიებს, იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია, იმიჯი დაეზიანებინათ.

– მე ამის ახსნა დამჭირდა ძალიან ბევრჯერ ჩვენს ევროპელ კოლეგებთან, რომ სააკაშვილს თურმე არ ვაწამებთ, არ მოვწამლეთ და ა.შ. ამ ყველა ბრალდებასა და ცილისწამებაზე ძალიან მარტივი და, ამავდროულად, ძალიან ძლიერი პასუხი გაეცა სტრასბურგის გადაწყვეტილების შედეგად. მთელი ეს ბინძური კამპანია, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აწარმოეს, ჩვენი ქვეყნის იმიჯის დასაზიანებლად, ჩამოირეცხა ამ ერთი ძალიან სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილებით. სტრასბურგმა გადაწყვიტა, რომ საქართველოს მთავრობა არის მართალი და სააკაშვილის არის მტყუანი. ყველა ის ბინძური ცილისწამება, რომლებიც მომდინარეობდა ნიაღვრის სახით მთელ მსოფლიოში, თქვენ კარგად იცით, რომ მთელ მსოფლიოს მოსდეს ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ თითქოს მოვწამლეთ, მოვკალით, ვაწამეთ და ა.შ. აღმოჩნდა, რომ არაფერი არ ხდება.

რატომ მოვუარე შორიდან და რატომ გიპასუხეთ ასე. როგორი უარგუმენტო და უსაფუძვლოც იყო მთელი ეს კრიტიკა და ბრალდებები, ასეთივე უსაფუძვლოა მათი განცხადებები ნატოსთან დაკავშირებით ჩვენი თითქოს სურვილის შესახებ, რომ ჩვენ აღარ გვინდა არც ნატო, არც ევროკავშირი. ამ დროს, ყველაზე მეტი და ერთადერთი ძალა, რომელმაც გააკეთა მაქსიმუმი და რეალური შედეგები მოუტანა ჩვენს ხალხს, ვართ ჩვენ. ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ევროპული პერსპექტივა და ნატოს სამხედრო ერთობლივი ბაზა, რომელიც მე გავხსენი ბატონ სტოლტენბერგთან ერთად. ეს არის შედეგები, მეგობრებო. ჩვენ შედეგებით უნდა გავაკეთოთ დასკვნები და არა იმ ყალბ ნარატივზე, რომელზეც ყოველთვის ჩვენი ოპონენტები აპელირებენ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„რუსებისთვის ერთწლიანი უვადო ვიზები უნდა გაუქმდეს და სამთვიანით შეიცვალოს“

საქართველოში ტურისტული საქმიანობების რეგისტრაცია სავალდებულო ხდება. პარლამენტმა „ტურიზმის შესახებ“ კანონპროექტის განხილვები უკვე დაიწყო.

პროექტით გათვალისწინებულია ტურიზმთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სექტორში სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფა. ასევე განისაზღვრება ტუროპერატორისა და კომბინირებული ტურისტული ხელშეკრულების მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შესრულება.

კანონპროექტი მოიცავს მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების, მათ შორის სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის საქმიანობის რეგულირების საკითხებსაც. მთავრობა განსაზღვრავს შესაბამის ადგილებს, სადაც გიდის საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფო გიდის ოფიციალური ნიშნის მქონე პირებისთვის.

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით გადაცემაში „ბიზნეს პალიტრა“ ტურისტული სააგენტო „კლარკ რობინსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა და გამყვანი ტურიზმის ასოციაციის თანადამფუძნებელმა მამუკა კელაურაძემ ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღნიშნულ კანონპროექტს, დადებით მხარეებთან ერთად, ბევრი ნაკლოვანებაც აქვს.

– ახალი კანონი, რა თქმა უნდა, წინსვლაა, რადგან ძველი, თუ სწორად მახსოვს, 1997 წელს იყო მიღებული და სულ 2 ფარატინა ფურცელი იყო. ამ კანონში ჩადებულია ბევრი კარგი რაღაც და იმედი მაქვს, მოგვეცემა საშუალება, ჩვენი შენიშვნები კიდევ ერთხელ გავაგებინოთ პარლამენტარებს, რადგან ბევრი რამ გათვალისწინებული არაა. სწორედ ამიტომ, ასოციაცია აპირებს, შესაბამის ორგანოებს წერილით მიმართოს.

გამყვანი ტურიზმის კუთხით, პროდუქტის მიმწოდებლის უფლებები საერთოდ არაა განსაზღვრული, არის მხოლოდ მოვალეობები და მომხმარებლის უფლებები. ჩვენ, ტურისტული სააგენტოები, თუნდაც მესამე პირის პასუხისმგებლობის შემთხვევაში, ვალდებულები ვართ, აბსოლუტურად ყველანაირ ხარჯზე და ყველაფერი ჩვენზე გადმოდის. ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, მთელი სექტორი, თუნდაც გიდები, რომლებსაც კონკრეტული მოთხოვნები აქვთ, სრულიად იგნორირებული არიან. გამოდის, რომ ვინც ამ სექტორში ვმუშაობთ, აბსოლუტურად უუფლებოდ ვართ, – ამბობს კელაურიძე.

მამუკა კელაურიძემ რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენის საკითხზეც გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ რუსებისთვის ერთწლიანი უვადო ვიზები უნდა გაუქმდეს.

– არ ვამართლებ რეისების აღდგენას, მაგრამ ეს ხალხი, ასე თუ ისე, მაინც შემოდის საქართველოში სხვადასხვა გზით. ეკონომიკურ სარგებელზე როცა ვსაუბრობთ, რომ 300-400 მილიონი ზედმეტი შემოვა, ამის წინაპირობას ჯერ ვერ ვხედავ, რადგან ვხედავთ, რომ „აზიმუტის“ რამდენიმე რეისი ნახევრად ცარიელი ჩამოვიდა. ის რეისები კი, რომლებიც დაანონსებული აქვთ „აირზენასა“ თუ „რედ ვინგსს“, იმდენად ძვირია, რომ, არა მგონია, ვინმეს დიდი სურვილი გაუჩნდეს. ჩაფრინდებიან ვლადიკავკაზში და გადმოვლენ მერე ლარსზე.

ან საერთოდ უნდა ჩავკეტოთ რუსეთთან ურთიერთობა, ან რაღაც შეზღუდვები უნდა დაწესდეს, რასაც ყოველთვის ვამბობდით, რომ ერთწლიანი ვიზა უნდა შეიცვალოს ვადიანი ვიზით. როგორც ჩვენ მოგვცეს რუსებმა სამთვიანი ვიზები, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, – აღნიშნა მამუკა კელაურიძემ.

ცნობისთვის, პუტინმა რუსული ავიაკომპანიებისთვის საქართველოში ფრენების, ხოლო ტურისტული სააგენტოებისთვის ტურების გაყიდვის აკრძალვა მოხსნა და გადაწყვეტილება ძალაში 15 მაისიდან შევიდა.

დაინგრევა საქართველოს ეკონომიკა, თუ რუსეთს ორმხრივ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ?

– რუსეთთან გაზრდილმა ვაჭრობამ და რუსული კაპიტალის ინექციებმა (რუსეთის მოქალაქეების ხარჯვა და დეპოზიტები) მოგვცა მოკლევადიანი ფისკალური და მონეტარული ეფექტი, თუმცა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდას სერიოზული რისკები ახლავს, რაც მნიშვნელოვნად გადაწონის ამ მოკლევადიან ეფექტს. ამის შესახებ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში – დაინგრევა თუ არა საქართველოს ეკონომიკა, თუ რუსეთს ორმხრივ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ? არის აღნიშნული.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

– 2006 წელს დაწყებული რუსული ემბარგოს, ხოლო შემდეგ ომის შედეგად რუსეთთან ვაჭრობის მკვეთრმა შემცირებამ, საქართველოს ეკონომიკა არათუ ჩამოანგრია, არამედ, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის დივერსიფიცირებას სერიოზული ბიძგი მისცა, რაც ქვემოთ არის აღწერილი. ამ დივერსიფიცირებისთვის შეუცვლელი იყო დასავლური ტექნიკური დახმარება.

ქვეყანამ ახალი სავაჭრო პარტნიორები შეიძინა, ხოლო ძველ სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობა გაზარდა. ამ მასშტაბით დივერსიფიცირებას სხვა თანაბარ პირობებში ვერ მივაღწევდით. თუმცა 2013 წლიდან საგრძნობლად იზრდება რუსეთთან ვაჭრობის წილი. ეს გაზრდილ ეკონომიკურ დამოკიდებულებას ნიშნავს, რაც ართულებს დივერსიფიცირების ამოცანას.

ორმხრივი ეკონომიკური სანქციების დაწესება ქვეყნისთვის, ცხადია, მოკლევადიანი შოკი იქნება, მაგრამ საშუალოვადიან პერსპექტივაში გამოიწვევს გაცილებით უფრო პროგნოზირებადი და მომგებიანი ბაზრების ფორსირებულად ათვისებას. ამ დივერსიფიცირების გარეშე კი ვერ მივაღწევთ საშუალოვადიან პერიოდში ხელშესახებ ეკონომიკურ ზრდას, – აღნიშნულია IDFI-ს კვლევაში.

გაგა ჩხეიძეს გოეთეს მედალი გადაეცა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დაჯექი და ლუდიც დაგვილიეო. მეც დავჯექი და გავაბით საუბარი, იქითური, აქეთური. იოჰანი რომ არ გამოჩნდა, ვიკითხე, სადაა ამდენი ხანი, არ დაბრუნდება-მეთქი? ატყდა სიცილი და როხროხი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე არ გაგიგიაო? მალე მოვა ფაუსტთან და მეფისტოფელთან ერთადო. და ისევ სიცილი და ხარხარი. აუერბახის სარდაფში დაწყებული ლოთობა და მეგობრობა შემდეგ ლაიფციგის ბოჰემურ ატელიეებსა და ღატაკ სტუდენტურ საცხოვრებლებში გაგრძელდა წლების განმავლობაში. ის გიჟი და გადარეული, თერგზე უფრო თერგი გოეთე კი, რომელიც სტუდენტობაში გამუდმებით ღრეობდა და ილხენდა „აუერბახის სარდაფში“, ჩემი საყვარელი პოეტი გახდა. ერთად ვიტრიტებოდით მეფისტოფელის მიერ დაწუნებული ღვინით, ერთად გავურბოდით ყინ და დუუმორეულ მოქეიფეებს, ღვინის კასრზე შემომსხდრები. მოკლედ, ჩემს კერპად იქცა.

დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ, რადგან გოეთეს მედალი არა მხოლოდ გერმანიის მთავრობისა და გოეთეს ინსტიტუტის მიერ ჩემი მცირე ღვაწლის აღიარებაა ქართულ-გერმანული და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების კონტექსტში, არამედ ჩემს დიდ გენიოსთან კიდევ ერთი მიახლოებაა.

ამ ჯილდოს, რომელსაც გოეთეს დაბადების დღეზე, 28 აგვისტოს გადმომცემენ ვაიმარში, მე ვუძღვნი, უპირველეს ყოვლისა, ქართველ გერმანისტებს, ჩემს იენელ მეგობრებს, პედაგოგებს, ჩემს გერმანელ მეგობრებს, კინემატოგრაფისტებს, ფოტოგრაფებს, მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, რომელთაც მაზარეს გერმანიის უდიდეს კულტურას და, რა თქმა უნდა, ჩემს მშობლებს, რომლებიც იქ, ზემოთ ხარობენ.

დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც დაინახა და დააფასა ჩემი შრომა, გოეთეს ინსტიტუტს, მის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, ასევე, ჟიურის წევრებს, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს.

28 აგვისტოს ყველა მეგობრის ნახვა გამიხარდება ვაიმარში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თეთრმა სახლმა განცხადება გააკეთა

მოსკოვის დაბომბვის პასუხად თეთრმა სახლმა განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ამერიკელებმა არ იციან, თუ ვინ დაბომბა მოსკოვი.

– ჩავატარებდით სრულფასოვან გამოძიებას, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არაკორექტულია, – ამბობს თეთრი სახლის წარმომადგენელი კირბი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გიორგი კეკელიძე: „ქართველ ხალხს მე ვნახულობ იმ სოფლებში, სადაც თითქმის ყოველდღე დავდივარ“

აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე და საქართველოში მცხოვრებ უნიჭიერეს მომავალ თაობებს გვაცნობს:

– გოგლა ლეონიძის სოფელში, პატარძეულში, ერთი გოგო გავიცანი, სკოლის მოსწავლე, თათია ქართველიშვილი, რომელმაც საოცარი ძალისხმევითა და ევროკაშირის დახმარებით საკუთარი სკოლის ეზოში განათლების ბაღი მოაწყო.

სწორედ ეს გოგო მგონია მე ის ქართველი, რომელიც, მაშასადამე, ევროპელი. გავიცანი მერე სხვებიც და განათლების ბაღში საათზე მეტხანს ლიტერატურაზე ვილაპარაკეთ, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. ღრმა დილიდან წვრილმან საქმეებში ჩაფლული, უკვე ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ, მათი მონდომების შემხედვარე, უცებ გამოვფხიზლდი. ვუსმენდი ამ ბავშვებს და კვლავაც მიმკვეთრდებოდა მანამდელი აზრი, რომ კომიკურია მათ წინაშე განწირული და საცოდავი ილუზიის შექმნა და „ქართველი ხალხის“ სახელით მავნებლური ბოდვების ძახილი. ქართველ ხალხს მე ვნახულობ იმ სოფლებში, სადაც თითქმის ყოველდღე დავდივარ, ვნახულობ ათასობით და მათ ყველაზე უკეთ იციან საკუთარი სოფლისა და ქალაქის ფასი, იციან ადგილი მსოფლიოს რუკაზე და არც კრემლის მოტრფიალეების სჯერათ და დიდად არც ზერელე მოლიბერალო არაგანტული ტიპაჟების, მხოლოდ საკუთარი თავი რომ მიაჩნიათ ჩვენს მამულში სინათლის ღერძად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამართალი

გიორგი მუმლაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ 5.000 ლარით დააჯარიმა

ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი მუმლაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ 5.000 ლარით დააჯარიმა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგი მუმლაძემ განუცხადა, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო სასამართლოს, ბრძოლას რუსული რეჟიმის დასრულებამდე გააგრძელებენ.

– 2021 წლის 14 აპრილს დაგვაკავეს „ქართული ოცნების“ ოფისთან. ვაპროტესტებდით „მკვლელ კარანტინს“, რომელიც დაწესებული იყო გალში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. გალიდან გადმოსვლის შემთხვევაში 5 დღე უწევდათ კარანტინში ყოფნა და ამ კარანტინისთვის რომ თავი აერიდებინათ ენგურის მდინარეს კვეთდნენ და ერთ-ერთი ასეთი გადმოკვეთისას გვალიების 4– სულიანი ოჯახი დაიხრჩო წყალში.

„ქართული ოცნების“ ოფისთან დაგვაკავეს 6 აქტივისტი, მათ შორის, 5 ადმინისტრაციული წესით, ხოლო მე – სისხლის სამართლის წესით. კერძოდ, მედავებოდნენ პოლიციელისადმი წინააღმდეგობის გაწევას, – განაცხადა გიორგი მუმლაძემ.

ტანსაცმლის ქვეშ, სხეულზე მიმაგრებული სახით, საქართველოში 43.676 ლარის ღირებულების 400 გრამის ოდენობის ოქროს საიუველირო ნაკეთობები გადმოიტანა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის საბაჟო წესების დარღვევით გადმოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით გამოძიებით დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქემ, თბილისის აეროპორტის გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, ტანსაცმლის ქვეშ, სხეულზე მიმაგრებული სახით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოიტანა 400 გრამის ოდენობის ოქროს საიუველირო ნაკეთობები, რომელთა საბაჟო ღირებულებამ 43.676 ლარი შეადგინა.

დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება, რაც თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

რატომ იქნება რუსეთ-უკრაინის ომი ხანგრძლივი?!

რუსეთის დიქტატორმა ვლადიმერ პუტინმა მორიგი „აღმოჩენა“ გააკეთა. მან განაცხადა, რომ უკრაინელი ერი არ არსებობს. არის ერთიანი რუსი ერი, ხოლო უკრაინა ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოა. დიქტატორს მხარი აუბა მისმა ლაქიამ, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ მედვედევმა. მან განაცხადა, რომ უკრაინა აუცილებლად გაქრება. ჭკუის კოლოფმა საამისო სამი სცენარიც მოხაზა. ესენია:

1) აღმოსავლეთი უკრაინა რუსეთს შეუერთდება, ხოლო დასავლეთი უკრაინა ცალკე სახელმწიფოს შექმნის. ცენტრალური უკრაინა დედაქალაქით კიევში კი „არავის ტერიტორიად“ დარჩება. ის დანარჩენი უკრაინის მიერთებას შეეცდება. შესაბამისად, ტერაქტები და ომი გაგრძელდება;

2) უკრაინის დაყოფა, როცა აღმოსავლეთი და სამხრეთი უკრაინა რუსეთს შეუერთდება, ცენტრალური უკრაინა კი ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდება. დასავლეთ უკრაინას პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი გაინაწილებენ. უკრაინის ამჟამინდელი მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცევა და დაკარგული სამშობლოს დაბრუნებას შეეცდება;

3) ეს ვარიანტი უკრაინის ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინად დაყოფას ითვალისწინებს. ამას მხარს დაუჭერს გაეროც. შესაბამისად, მივიღებთ შემდეგ სურათს: დასავლეთ უკრაინას პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი გაინაწილებენ, აღმოსავლეთი და ცენტრალური უკრაინა კი რუსეთს შეუერთდება. გაეროს შესაბამისი დადგენილება ახალ ომებსა და ტერორის საშიშროებას გამორიცხავს.

ამრიგად, რუსეთის პირველი პირები უკრაინის დაყოფაზე ღიად ლაპარაკობენ. ამის მიღწევას ისინი დაბომბვებით, ომითა და ნგრევით ცდილობენ. სხვა ბერკეტები დღევანდელ რუსეთს არ გააჩნია. თუმცა, ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს. რუსულ დაბომბვებს უკრაინელთა მხრიდან რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმები მოჰყვება, ფრონტზე რუსული არმიის გააქტიურებას კი უკრაინელთა აქტიური თავდაცვა და კონტრშეტევები დაუპირისპირდება. უკრაინაშიც მშვიდობა კარგა ხანს არ იქნება.

რუსეთის ამჟამინდელი ლიდერები: პუტინი, მედვედევი, ლავროვი, შოიგუ და ა.შ. ჭკუათხელი ხალხია, მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ ალტერნატივა მათ არ ჰყავთ. დემოკრატიული ოპოზიცია რუსეთში სუსტია. დღევანდელი ელიტაც ხელისუფლებაში დიდხანს დარჩება. რუსეთ-უკრაინის ომიც გაიწელება. რუსული ეკონომიკა ბოლომდე გაპარტახდება. პოსტსაბჭოთა სივრცეზეც რუსეთის გავლენა დაეცემა. რუსეთი ჩამოშორდება დემოკრატიულ სამყაროს და დაუახლოვდება აზიას. ცხადია ისიც, რომ კიდევ არაერთი რუსი დედა ჩაიცვამს ძაძებს და არაერთი რუსი ყმაწვილი ჩაწვება მიწაში.

ბახმუტი მთლიანად დაინგრა!

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები არ მომხდარა. კვლავ ყველაზე ცხელი წერტილებია ბახმუტი, ავდეევკა და მარინკა.

ბახმუტთან მდგომარეობა შეიცვალა. რუსი ოკუპანტები აქტიურ შეტევით ოპერაციებს აღარ ახორციელებენ და უკრაინული პოზიციების დაბომბვას სჯერდებიან. ფირმა „ვაგნერის“ ბანდების შეფმა პრიგოჟინმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ბახმუტში უკრაინული არმია რჩება.

– ბახმუტი მთლიანად დაინგრა! ასეთ სიტუაციაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ქალაქში უკრაინელი ჯარისკაცები რჩებიან, – თქვა პრიგოჟინმა.

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი აცხადებს, რომ უკრაინულმა არმიამ ბახმუტში ოკუპანტების შემტევი პოტენციალი დააგდო. ახლა ბახმუტთან მიმდინარეობს რუსული რეგულარული ჯარის გადაჯგუფება.

რაც შეეხება ავდეევკასა და მარინკას, აქაც გვაქვს ცვლილებები. ოკუპანტებმა ავდეევკაზე შეტევები შეანელეს. რაც შეეხება მარინკას, უკანასკნელი დღეების განმავლობაში უკრაინელებმა რუსების 14 შეტევა მოიგერიეს და ყველა პოზიცია შეინარჩუნეს.

ცვლილებებია უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც. ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში უკრაინელი ჯარისკაცები ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევენ წინ. რუსებმა ამას უკრაინელთა პოზიციების დაბომბვები დაუპირისპირეს. ამავე დროს, აქტიური შეტევითი ოპერაციების განხორციელების ძალა რუსებს აღარ შესწევთ. ისინი მთლიანად თავდაცვაზე გადაერთვნენ.

ცალკე საუბრის თემაა აზოვის ზღვის სანაპირო. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, მარიუპოლში აფეთქებათა სერია გრძელდება. უკრაინელებმა რუსების მთელი ბაზა ააფეთქეს. შედეგად დაიღუპა 100 რუსი ჯარისკაცი.

– მე ბრძანება გავეცი, რომ ტერორისტები ადგილზე, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე დახვრიტონ, – თქვა დიქტატორმა პუტინმა.

მიუხედავად ამისა, აფეთქებათა სერია მთელი აზოვის ზღვის სანაპიროზე გრძელდება. მარიუპოლის გარდა, აფეთქებებია ბერდიანსკში. პარტიზანული მოძრაობა სულ უფრო აქტიურდება. აზოვის ზღვის გარდა, აფეთქებები არ წყდება დონეცკში, გორლოვკაში, ყირიმში, ხერსონ– ზაპოროჟიეს ოლქების ოკუპირებულ ნაწილში.

რუსეთი უკრაინის დაბომბვას გაგრძელებს. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ოკუპანტებმა დაარტყეს კიევს. დაიღუპა სამი ადამიანი. აქედან ორი ბავშვია. უკრაინელებმა ამჯერადაც მტრის რაკეტების უმრავლესობა ჩამოაგდეს. მიუხედავად ამისა, რაკეტების ნამსხვრევები ქალაქს დაეცა. მსხვერპლიც ამან გამოიწვია.

შედგა ბაიდენისა და ერდოღანის სატელეფონო საუბარი

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა თავის თურქ კოლეგა ერდოღანს მიულოცა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. მან გამოთქვა იმედი, რომ აშშ-თურქეთის ურთიერთობები აღმავალი გზით განვითარდება.

პრეზიდენტები შეეხნენ უკრაინისათვის R-16 ავიაგამანადგურებლების გადაცემას, აგრეთვე ნატოში შვედეთისა და ფინეთის მიღებას. ერდოღანმა დააფიქსირა მხარდაჭერა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხისადმი.

ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ოდესაში ჩავიდა. იქ მან მთავარბანაკის სხდომა მოიწვია. სიტყვით გამოვიდნენ გენერლები ნეჟიპაკა, მოსკალიოვი და სირსკი, აგრეთვე უშიშროების სამსახურის შეფი მასიუკი და სამხედრო დაზვერვის უფროსი ბუდანოვი.

პრეზიდენტ ზელენსკის მიერ შემაჯამებელი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ სხდომა დაიხურა.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.804; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.478; არტილერია – 3.474; განადგურებულია 208.370 ოკუპანტი.

დანაკარგებით გაბოროტებული რუსები აცხადებენ, რომ დადგა ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების დრო. ამას უკვე არა ოდიოზური პროპაგანდისტები, არამედ ოფიციალური პირები აცხადებენ.

– უკრაინაში ომის მასშტაბები ფართოვდება. დადგა ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების დრო, – აცხადებს თავდაცვის მინისტრი შოიგუ.

თანახმად ლევადა-ცენტრის გამოკვლევებისა, რუსების 72% უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას მხარს უჭერს. არგუმენტი შემდეგია: სხვაგვარად ხოხოლებს ვერ გავაჩერებთ.

– თუ პუტინი ამ ნაბიჯს გადადგამს, ეს მისი აღსასრულის მომასწავებელი იქნება, – თვლის სუკის ექსრეზიდენტი ვაშინგტონში იური შვეცი.

სუკის ყოფილი რეზიდენტის აზრით, რუსეთის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას ამერიკელთა პასუხი მოჰყვება. აშშ-ის სამხედრო– საჰაერო ძალების დარტყმის შედეგად განადგურდება მთელი რუსული სამხედრო ფლოტი, დაინგრევა დიდი რუსული ქალაქები, მათ შორის მოსკოვი და პეტერბურგი.

– ეს იქნება ნამდვილი კატასტროფა! რუსი გენერლებიც უკვე ფიქრობენ, თუ როგორ აიცილონ ის თავიდან, – მიიჩნევს შვეცი.

დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე

უკრაინის მასირებულმა დაბომბვამ მთელი მსოფლიო აღაშფოთა. დასავლეთის ლიდერებიც ერთიმეორის მიყოლებით აცხადებენ, რომ უკრაინას აქვს უფლება, განახორციელოს რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმები.

– უკრაინას ამის სრული მორალური და იურიდიული უფლება აქვს, – ამბობს გერმანიის თავდაცვის მინისტრი პისტორიუსი. ამავე დროს, ბატონმა მინისტრმა დაამატა:

– მიუხედავად ამისა, წინააღმდეგი ვარ, რომ უკრაინელებმა რუსეთს გერმანული იარაღი დასცხონ, – თქვა მან.

ასეა თუ ისე, რუსეთზე დარტყმებს მწვანე შუქი აენთო. უკრაინამაც განახორციელა დარტყმა ბელგოროდის ოლქზე, კერძოდ, სოფელ შებეკინოზე. შედეგად დაინგრა სახლები, დაიღუპნენ ადამიანები.

– შებეკინოს ვერ გამოარჩევთ იმ უკრაინული სოფლებისგან, რომლებსაც რუსეთი ბომბავდა, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

შებეკინოს გარდა, განხორციელდა დარტყმები კრასნოდარის მხარეზე, აგრეთვე კურსკისა და ვორონეჟის ოლქებზე. ოკუპანტების ზარალი საგრძნობია.

– ომმა უკვე ყველა რუსულ ოჯახს მიუკაკუნა, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ანონსები

- კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.
- ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის №154.
- მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: აღმაშენებლის №154.
- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სპორტი

აურელიო დე ლაურენტისი: „კონკურენცია უფრო მიმზიდველ ლიგებთან გვიწევს“

ნაპოლის პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა იტალიურ მედიასთან მთავარი მწვრთნელის შემცვლელზე ისაუბრა.

ლუჩანო სპალეტი:

– ჩვენ ვეძებთ მწვრთნელს, რომელიც საუკეთესოდ გაუძღვება 4-3-3 სისტემას. გვინდა, რომ ის მოერგოს ნაპოლის არაჩვეულებრივ ფეხბურთელებს, რომელთა შენარჩუნებასაც ვაპირებთ. ამ მიზნით ათეულობით პროფილი შევისწავლე და მათგან საუკეთესოს ავირჩევ. მე ჯერ კიდევ თესვის პროცესში ვარ და ამიტომ ყველა ნეაპოლელის დახმარება დამჭირდება.

როდესაც ადამიანი რაღაცას ცვლის, მუშაობისას შეიძლება დადგეს რთული მომენტები, მაგრამ ამან შიში არ უნდა გამოიწვიოს. ყველაფერს გაუმჯობესება სჭირდება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ გუნდად, რომელიც 14 წელია, ევროპულ სარბიელზე გამოდის, ეს ფაქტი კი კარგად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ვეკიდებით მწვრთნელების არჩევის საქმეს.

ჩემი უპირატესობა ის არის, რომ, მართალია, არ ვიცი, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ, კარგად ვიცი, როგორ უნდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. სენტიმენტები მაშინაც არ მიტაცებს, როდესაც ისინი მეძალება. მე ყოველთვის რაციონალურ ადამიანად ვრჩები. ვალდებული ვარ, ყველაფერი შევამოწმო, ყველას ველაპარაკო და ყველას გაგება ვცადო. უნდა ჩავწვდე, რა ხდება გარშემო. რასაკვირველია, მეც შეიძლება შევცდე...

ლუის ენრიკეზე იმას მოგახსენებთ, რომ მას პრემიერლიგაში უნდა წასვლა. ჩვენ გვიწევს ისეთ ლიგებთან კონკურენცია, რომლებიც ჩვენსაზე უფრო მიმზიდველები არიან...

შედეგები

31 მაისი

ფეხბურთი

უეფას ევროპის ლიგა

ფინალი

სევილია-რომა	1:1(4:13)

ჩოგბურთი

როლან გაროს

კაცები

კარბალიეს ბაენა-ციციპასი	3:6,6:7,2:6
ოფნერი-კორდა	6:3,7:6,6:4
ფონინი-კუბლერი	6:4,7:6,6:2
სონეგო-უმბერი	6:4,6:3,7:6
ვავრინკა-კოკინაკისი	6:3,5:7,3:6,7:6,3:6
შვარცმანი-ბორგიში	7:6,6:4,6:3
არნალდი-შაპოვალოვი	2:6,6:3,3:6,3:6
ბაუტისტა აგუტი-ვარილიასი	6:1,6:4,3:6,1:6,1:6
ალკარასი-დანიელი	6:1,3:6,6:1,6:2
ხაჩანოვი-ალბოტი	6:3,6:4,6:2
გრიკსპორი-ჰურკაჩი	3:6,7:5,7:6,6:7,4:6
ვან აში-დავიდოვიჩ ფოკინა	4:6,3:6,6:7
პუიე-ნორი	1:6,3:6,3:6
მუტე-რუბლიოვი	4:6,2:6,6:3,3:6
მუსეტი-შევჩენკო	6:1,6:1,6:2
ჯოკოვიჩი-ფუჩოვიჩი	7:6,6:0,6:3

ქალები

ოსტაპენკო-სტერნსი	3:6,6:1,2:6
ჰანტერი-სვიტოლინა	6:2,3:6,1:6
მერტენსი-ოსორიო	6:3,7:6
გარსია-ბლინკოვა	6:4,3:6,5:7
შერიფი-პოტაპოვა	6:3,4:6,1:6
სამსონოვა-პავლუჩენკოვა	6:4,5:7,5:7
ვონდრაუშოვა-კასატკინა	3:6,4:6
პუტინცევა-ჩუენი	6:3,4:6,6:2
მუხოვა-პოდორსკა	6:3,0:6,6:3
შიმანოვიჩი-სობოლენკო	5:7,2:6
სტივენსი-გრაჩევა	6:2,6:1
ერანი-ბეგუ	3:6,0:6
ფერნანდესი-ტაუსონი	3:6,7:5,4:6
ფრენხი-რახიმოვა	3:6,4:6
ჟანჟანი-ავანესიანი	0:6,5:7

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ევროპა ლიგა სევილიისაა

სევილია-რომა 1:1 (4:13)
გუდაპეშტი. პუშკაშ არენა
0:1 დიბალა (35), 1:1 მანჩინი (55სკ)
პენალტები: 1:0 ოკამპოსი; 1:1 კრისტანტე; 2:1 ლამელა; 2:1 მანჩინი (მეკარე); 3:1 რაკიტიჩი; 3:1 იბანიესი (ძელი), 4:1 მონტიელი

სევილია: ბუნუ, ტელესი (რეკიკი 95), გუდელი (მარკაო 120), ბადე, ნავასი (მონტიელი 95), რაკიტიჩი, ფერნანდო (ხორდანი 120), ხილი (ლამელა 46), ტორესი (სუსო 46), ოკამპოსი, ენნესირი

რომა: რუი პატრისიუ, სმოლინგი, მანჩინი, იბანიესი, სპინაცოლა (ლორენტე 105), მატიჩი (ბოვი 120), კრისტანტე, ჩელიკი (ჟალევსკი 90), დიბალა (ვეინალდუმი 68), პელეგრინი (ელ შაარავი 105), აბრაჰამი (ბელოტი 75)

დაუმარცხებელთა ბრძოლაში სევილიამ იმარჯვა. აქამდე ანდალუსიელებს 6 ფინალი ჰქონდათ ნათამაშევი და ყველა მოგებული, ხოლო რომაელთა თავკაცმა ჟოზე მოურინიუმ ფინალში წაგების გემო არ იცოდა.

დაძაბული მატჩი იყო, უხეში, ნერვული... თავიდან რომა უკეთესი იყო და პაულო დიბალას გოლიც ლოგიკური ჩანდა. ამის შემდეგ სევილია უფრო გააქტიურდა, მაგრამ შესვენებამდე ვეღარაფერი შეცვალა.

ანტრაქტის შემდეგ კი სევილია მოედნის ბატონ-პატრონი გახდა. ანდალუსიელები ბურთს უფრო დიდხანს აკონტროლებდნენ, ხოლო რომაელებმა დაცვაში „ჩაჯდომა“ ამჯობინეს. სევილიამ მალევე გაათანაბრა – 55-ე წუთზე მანჩინომ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

თანაბარ ანგარიშზე კი ტემპმაც იკლო და ორივე გუნდი პერიოდულად აწუხებდა ერთმანეთს, მაგრამ არც ძირითად დროში და არც დამატებითში საქმე გოლამდე არ მისულა და ყველაფერი პენალტებს უნდა გადაეწყვიტა.

იქ კი მანჩინის ისევ უმუხთლა ბედმა – რომაელს მეკარემ აჯობა. ვერ გაიტანა იბანიესმაც, ხოლო სევილიელებმა ოთხი პენალტი ზუსტად დაარტყეს და პრიზიც ჩაიბარეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იასინ ბუნუ

32 წლის მეკარის მიერ მოგერიებული პენალტები გადამწყვეტი აღმოჩნდა. მაროკოელმა ჯანლუკა მანჩინისა და როჟერ იბანიესის არ გაატანინა და საკუთარ გუნდს კიდევ ერთი თასი შემატა.

ხოსე ლუის მენდილიბარი:

– არ ვიცი, მჯერა თუ არა, მაგრამ ასეა – თასი მოვიპოვეთ, მედლები მივიღეთ და, როგორც ჩანს, მოვიგეთ. არა? ვფიქრობ, როცა შვებულებას ავიღებთ, დავიწყებ იმაზე ფიქრს, რაც გავაკეთეთ.

რას შემომთავაზებს კლუბი? ვნახოთ, რა იქნება, ამ მომენტით სიამოვნება მოგვიწევს და მერე, მგონი, რაღაცას განვიხილავთ. აქ ძალიან კომფორტულად ვარ. ამას ყოველთვის ვამბობდი.

ევროლიგის ფინალში დამარცხებული ჟოზე მოურინიუ მსაჯობით საშინლად უკმაყოფილო იყო. რომაელთა პორტუგალიელ მწვრთნელს მიაჩნია, რომ არბიტრი ბევრ ეპიზოდში უსამართლოდ მსაჯობდა. ჟოზემ საკუთარ ფეხბურთელებს დემონსტრაციულად გადაუხადა მადლობა – თქვენ დიდებულად ითამაშეთ და ეს მთელმა ევროპამ ნახა.

მოურინიუმ მისთვის განკუთვნილი მედალი ტრიბუნაზე მყოფ ბავშვს აჩუქა.

ჟოზე მოურინიუ:

– თამაშამდე ვთქვი: ან თასით მივდივართ, ან მკვდრები. გამოდის, რომ მკვდრები ვართ, ფიზიკურად დაღლილები, მენტალურად დაღლილები და, ვფიქრობთ, რომ შედეგი უსამართლოა, რადგან მრავალი ეპიზოდი იყო, რაზეც სასაუბრო ბევრია. თასს ვერ ვხედავ, ამიტომ დაღლილები და მკვდრები მივდივართ. ყოველთვის ვამბობ, რომ შეიძლება თამაში წააგო, მაგრამ არასდროს უნდა დაკარგო შენი ღირსება და პროფესიონალიზმი. ევროთასებზე 5 ფინალი მოვიგე, ამჯერად წავაგე, მაგრამ სახლში უფრო ამაყი ვბრუნდები.

მსაჯი თითქოს ესპანელი იყო... ლამელა მეორე ყვითელ ბარათს იმსახურებდა, მერე კი მან პენალტების სერიაში გოლი გაიტანა. ხედავთ, საიდან მოდის უსამართლობა? ჩემი მომავალი? ორშაბათს შვებულებაში მივდივარ. თუ მანამდე დრო გვექნება სალაპარაკოდ, კარგია, თუ არადა, მოგვიანებით ვისაუბრებთ. ობიექტურად, არ შემიძლია ვთქვა, რომ დავრჩები. სერიოზული კაცი ვარ: კლუბის მფლობელებს რამდენიმე თვის წინ ვუთხარი, რომ ისინი პირველები იქნებოდნენ, ვისაც ვეტყოდი, თუ სხვა კლუბებისგან შეთავაზება მექნებოდა, დასამალი არაფერი მაქვს. დეკემბერში კლუბთან ვისაუბრე, როცა პორტუგალიის ნაკრებიდან იყო შეთავაზება, მაგრამ მას შემდეგ არცერთ კლუბთან შეხება არ მქონია. რომასთან 1-წლიანი კონტრაქტი მაქვს და ასეთი სიტუაციაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კვარაცხელია ნომინანტებში არ ჩანს

სერია ა სეზონს ასრულებს და მთავარი მოვლენა ლიგის საუკეთესო დასახელება გახდება. ჩვენც დიდი მოლოდინით ვართ, რადგან ნომინანტებს შორის ველოდებით ხვიჩა კვარაცხელიას.

თუმცა, როგორც ჩანს, კვარა სხვა, უმთავრესი პრიზისთვის იბრძოლებს, რასაც სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ჰქვია.

რა გვაძლევს ამის თქმის უფლებას? ის, რომ ამპლუების მიხედვით დალაგებულ ნომინირებულ კანდიდატებში ჩვენებური არ ჩანს.

საუკეთესო მეკარის პრიზისთვის ივან პროვედელის (ლაციო), მიკელე დე გრეგორიოს (მონცა) და ლუკაშ სკორუპსკის (ბოლონია) იბრძოლებენ;

მცველებს შორის პრეტენდენტები არიან: თეო ერნანდესი (მილანი), ჯოვანი დი ლორენცო და მინ-ჯე კიმი (ორივე ნაპოლი);

ნახევარმცველები: ადრიენ რაბიო (იუვენტუსი), სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი (ლაციო) და ნიკოლო ბარელა (ინტერი);

თავდამსხმელებს შორის რაფაელ ლეაო (მილანი), ლაუტარო მარტინესი (ინტერი) და ვიქტორ ოსიმენი (ნაპოლი).

გიორგი მიქაუტაძე: „ხინკალი ჩემი ფავორიტია“

ქართველ თავდამსხმელ გიორგი მიქაუტაძეზე „ტაციაობაა“. ფრანგული მეცის შემტევის ხილვა საკუთარ რიგებში რამდენიმე გუნდს სურს.

მსურველი მართლაც ბევრია. ყველაზე აქტიურად პრემიერლიგაში აღზევებულ ბარნლიზე იწერება. ინგლისურ გუნდს მოჰყვება იტალიური მილანი. თუმცა, ფრანგული მედია წერს, რომ გერმანული ბუნდესლიგის გუნდებიც გააქტიურდნენ.

ბოლო კიდევ გამოჩნდა რამდენი ვარიანტი: ფრანგული ლიონი და ინგლისური ვულვზი.

ვნახოთ, რას წერს ფრანგული მედია:

– ლიონი მიქაუტაძეს რამდენიმე თვეა აკვირდება. ერთია, მეცისთვის შეთავაზებით ჯერ არ მიუმართავს. ლიონელებს რაც აშინებთ ის თანხაა, რომელსაც მეცი ითხოვს. ბოლო მონაცემებით, ფრანგული კლუბი მიქაუტაძის ფასს ზრდის და 20 მილიონ ევროზე ნაკლებად არ დათმობს. არადა, ლიონში ქართველი ფეხბურთელის წარსულს ძალიან აფასებენ. ის სწორედ ლიონშია დაბადებული, ამ კლუბის აღზრდილია და ახალგაზრდულ დონეზე მათ ღირსებასაც იცავდა.

ფრანგულ მედიაში ჩვენებურთან ინტერვიუც გამოქვეყნდა.

– როგორ ახსნით, რომ, სხვა ფეხბურთელებთან შედარებით, გვიან გაიხსენით?

– თავიდან არ მენდობოდნენ და სერენში წასვლა მომიწია. შემდეგ მეცში კი დავბრუნდი, მაგრამ ერთი წლით ისევ ბელგიაში წავედი. ეს ეტაპები მნიშვნელოვანი იყო, ამან მომცა საშუალება, რომ ახლა ლიგა 2-ის ბომბარდირებში ვყოფილიყავი.

– ფიქრობთ, რომ კარიერის გამო გარკვეულ მსხვერპლზე მიდიხართ?

– კი, ცოტათი. ვცდილობ, სწორად ვიკვებო, მეტი ვიმუშაო. მცირე მსხვერპლის ანაზღაურება მომავალში დამიბრუნდება.

– კონკრეტული დიეტა გაქვთ?

– დაახლოებით ორი თვეა, ჩემზე დიეტოლოგი ზრუნავს, მთელი კვირის რეცეპტებს მაძლევს, რომელსაც სახლში ვამზადებ.

– სამზარეულოსთან როგორ ხართ?

– ზოგჯერ, როცა კონკრეტული რეცეპტი რთულია, დედას ვურეკავ. ის საჭმელებს შესანიშნავად აკეთებს, განსაკუთრებით ქართულ კერძებს. ჩემი ფავორიტი ხინკალია. ეს არის ცომში შეხვეული ხორცი, მცირე წვენით. ხინკალს მიკეთებს ხოლმე, როცა სახლში მივდივარ.

– ჯერ არ შეგიძლიათ ამ კერძის მომზადება?

– არა, ჯერ არ მიცდია, მაგრამ, როცა ვხედავ, დედაჩემი როგორ აკეთებს, ვფიქრობ, რომ რთული უნდა იყოს.

– გრძნობთ, რომ გულშემატკივრების ფავორიტი გახდით?

– ოდნავ. ეს ჩემი გოლებისა და შედეგების დამსახურებაა. სოციალურ ქსელშიც ვამჩნევ. ნიმის წინააღმდეგ მოედანზე რომ შევედი, პუბლიკა ოვაციებით შემეგება, ნელ-ნელა ქუჩაშიც მცნობენ.

– შესაძლებელია თუ არა მომდევნო სეზონში მეცში თქვენი დარჩენა?

– რა თქმა უნდა. ლიგა 1-ში გადასასვლელად ვიბრძვით და, აღზევების შემთხვევაში, რატომ არ დავრჩები აქ?

– არის ჩემპიონატები, რომლებიც მოგწონთ?

– ყოველთვის მომწონდა ინგლისის ჩემპიონატი.

– ნაპოლიში ხვიჩა კვარაცხელიას გამოჩენის შემდეგ გრძნობთ თუ არა, რომ საქართველოს ნაკრების გარშემო განსაკუთრებული აჟიოტაჟია?

– ქართველი ფეხბურთელები უცხოურ კლუბებში მიდიან, ნაპოლიში კვარას გარდა, გიორგი მამარდაშვილი ვალენსიაშია, ზურიკო დავითაშვილი – ბორდოში. რა თქმა უნდა, მოლოდინი არსებობს. ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ამიტომ, გვაქვს დრო, რომ მიზნებს მივაღწიოთ და ერთ დღეს დიდ ტურნირზე ვითამაშოთ.

– ევრო 2024-ზე გასვლას გეგმავთ თუ ჯერ ადრეა?

– დიახ, გვინდა, ფინალურ ეტაპზე გავიდეთ, ვნახოთ, რა მოხდება. საკმაოდ რთული ჯგუფი გვყავს, სადაც ესპანეთი და ნორვეგიაა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია და ევროპის ჩემპიონატზე პირველად გასასვლელად ბოლომდე ბრძოლა იქნება საჭირო.

შეგახსენებთ, რომ მიქაუტაძემ ლიგა 2-ში ჩატარებულ 36 მატჩში 23 გოლი და 8 საგოლე პასი მიითვალა და ლიგის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

ლიგა 2-ის სეზონის დასრულებამდე 1 ტურია დარჩენილი. გიორგი მიქაუტაძის მეცი 69 ქულით მეორე ადგილზეა და, თუ ბოლო შეხვედრასაც მოიგებს, ლიგა 1-ის საგზურს მოიპოვებს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მიქაუტაძე საქართველოს ნაკრების ღირსებას 2021 წლიდან იცავს და 14 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე იზოლდა, და ნათელა, ქალიშვილი ნინო, სიძე ზურაბ მურჯიკნელი, შვილიშვილები შოთა, ლაშა, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პარმენ ლემონჯავა

ლემონჯავების საგვარეულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე საგვარეულოს თავმჯდომარის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ღირსეული ადამიანის

პარმენ ლემონჯავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, მის ახლობლებსა და ლემონჯავების გვარის წარმომადგენლებს.

დიდია ბატონი პარმენის ღვაწლი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ამ ცოდნის ფართოდ გავრცელების საქმეში. მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, რომლებიც მიზნად ისახავდა ლემონჯავების საგვარეულოს წარმოჩენასა და მისი წევრების დაახლოებას.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. კუთხე საქართველოში; 3. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 5. ქვანახშირის მადნის გადასაზიდი სარკინიგზო-თვითმცლელი ნახევარვაგონი; 7. მგალობელი ჩიტი; 9. ფიფას პრეზიდენტი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 15. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 16. ესპანური ავიაკომპანია; 18. გარეული ცხოველი, აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო.

თარაზულად: 4. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი ბროშურა; 8. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 11. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 12. საგარანტიო წერილი, რომელიც თან ახლავს ფინანსურ ხელშეკრულებას; 14. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 17. ვრცელი, უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 19. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 20. მძლავრი შეიარაღების მქონე დიდი სწრაფმავალი ხომალდი; 21. ნორვეგიის დედაქალაქი; 22. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 23. ეგვიპტელი ქრისტიანები.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შამბრიერი; 2. პერგოლა; 3. ტონიკი; 4. კობზა; 5. გლორია; 11. კარტიე; 12. ოფორტი; 14. ჯუთი; 16. რივიერა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. ქართუ; 22. ჩაქვი.

თარაზულად: 6. ვაპორეტო; 7. პრომილე; 8. ზვარე; 9. გრინგო; 10. კონკა; 13. ბრიჯი; 15. არმსტრონგი; 18. სელტიკი; 20. ორლი; 21. ქაშერი; 23. ბარმაქსიზი; 24. თუშეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შტირია; 2. ალუპკა; 3. ენისელი; 4. კარდიფი; 5. მენისკი; 7. გერნიკა; 11. იანძი; 12. დიქცია; 13. ძილქუში; 14. ბასმაჩი; 15. დავითი; 17. ფესახი; 19. მახა.

თარაზულად: 5. მარტელი; 6. ბიონიკა; 8. კურუ; 9. მენჯი; 10. სავანა; 11. იედო; 13. ძალაყინი; 14. ბინგო; 16. უფიცა; 18. სექტა; 20. ჩარხილი; 21. თარხანი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ივნისი

აშშ დოლარი — 2.6396

ევრო — 2.8278

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2897

100 რუსული რუბლი — 3.2577

ამინდის პროგნოზი 2 ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევილიამ ევროპის ლიგა მოიგო

სევილიამ ევროპის ლიგის ფინალი მოიგო. მათ ჟოზე მოურინიოს რომა პენალტების სერიაში დაამარცხეს. თვითონ შეხვედრა 1:1 დასრულდა და სევილია თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას. პენალტების სერიაში რომამ ორჯერ ვერ შეძლო გატანა, ხოლო სევილიამ ყველა თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა და საბოლოოდ ამ გუნდმა ევროპის ლიგა უკვე მეშვიდედ მოიგო, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიო უკმაყოფილებას არ მალავდა მსაჯობით. მისი აზრით, შეხვედრის არბიტრი მთელი მატჩის განმავლობაში სევილიას ეხმარებოდა. შესაძლოა, ჟოზე თავისი ქცევის გამო დასაჯონ კიდეც.

მოდრიჩი, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს

მადრიდის რეალის ხორვატი ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს და კარიერას საუდის არაბეთში გააგრძელებს, თუმცა ლუკას ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია. მოდრიჩი უკვე 36 წლის არის და მან თვითონ აღიარა, რომ სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში უკვე უჭირს. მოდრიჩის წასვლის შესახებ კარლო ანჩელოტიმაც ისაუბრა.

ხავი: „მინდა, მესი ბარსელონაში დაბრუნდეს“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს, მესი ბარსელონაში დაბრუნდეს და ის ყველაფერს გააკეთებს, რაც მას შეუძლია, რომ ასე მოხდეს: „მესისთან ერთად მუშაობა ისევ ძალიან მინდა და, თუ ის დაბრუნდა, ძალიან გამიხარდება, თუმცა ვიცი, რომ არსებობს წინააღმდეგობები, მაგრამ პოზიტიურად ვარ განწყობილი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს სამსახურში ურეკავს. ქმარი ეუბნება:

– ძვირფასო, ყელამდე საქმეში ვარ ჩაფლული და ლაქლაქის დრო არ მაქვს.

– ჰო, მაგრამ, საყვარელო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი.

– კარგი, დრო არ მაქვს და ამიტომ მხოლოდ კარგი მითხარი.

– ჩვენი მანქანის უსაფრთხოების ბალიში მუშაობს...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, შენ რომ გიყურებ, ვფიქრობ, რომ დედაშენს არ უნდოდი, ხოლო მამაშენი არ ცდილობდა...

•••

კაცი ქალს მიმართავს:

– გამარჯობა, ლამაზო, შენს ნომერს ვერ მომცემ?

– ყველა გამვლელს ნომერს არ ვაძლევ!

– მომისმინე, ქალბატონო, მეტისმეტად თავხედი ხომ არ ხარ პენსიონერის კვალობაზე?

•••

სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გაზარდოს საპენსიო ასაკი. ამის მაგივრად გადაწყვიტა, წლის ხანგრძლივობა 400 დღემდე გაზარდოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გია მურღულია ამღერდა



ფილოლოგი გია მურღულია ამღერდა. მან მონაწილეობა მიიღო შოუს „ვინ ვინ არის“ მეორე სეზონში და, მგლის კოსტიუმის ქვეშ დამალულმა, თავისი სიმღერით დიდი თავსატეხი გაუჭირა ჟიურის.

გია მურღულიამ ნიღბის მოხსნის შემდეგ დათო ხუჯაძის სიმღერა „მეგობრებთან ერთად“ იმღერა და სცენაზე ლიზა ბაგრატიონი, ნანიკო ხაზარაძე და ანრი ჯოხაძე აიცეკვა.

ფილოლოგის ეს გადაწყვეტილება საზოგადოების ნაწილმა გააკრიტიკა.

გია მურღულია:

– ადამიანები, რომლებიც სატელევიზიო პროექტში „ვინ ვინ არის“ ჩემს მონაწილეობაზე ღვარძლიანად ქილიკებენ, ცოტანი, მაგრამ ასეთებიც არიან – ამქვეყნად ყველაფერში ცუდის დანახვაზე რომ დაოსტატდნენ, ძალიან მაცინებენ და, რატომღაც ნაძვის ხეზე ჩამოკიდებულ სათამაშოებს მახსენებენ.

მადლობა ღმერთს, დიდი ხანია თავად ვწყვეტ, რა ვიფიქრო, რა ვთქვა და როგორ მოვიქცე – გაავებულ ხელმოცარულთა კონსულტაციები არ მჭირდება.

მასწავლებელი ვერავის მტერი ვერ იქნება, მაგრამ, უფლებას დავიტოვებ, ასეთები შეტნაკლებად დავივიწყო – მათზე ფიქრის დრო არ მაქვს.

შეიძლება, თავად ვერც ხვდებოდეს, მაგრამ მართლა ცოდვა და უბედურია ის ადამიანი, რომელსაც მოყვასის ღიმილი აღიზიანებს.

ნინო სურგულაძემ ესპანეთში კარმენის არია იმღერა

ოპერის მომღერალმა ნინო სურგულაძემ მონაწილეობა მიიღო ესპანეთში კალდერონის თეატრში დადგმულ საოპერო სპექტაკლში „კარმენი“, სადაც მთავარი პარტია შეასრულა.

ესპანურმა გამოცემა „ტრიბუნამ“ ქართველი მეცოსოპრანო ასე შეაფასა:

– თბილისში დაბადებული (საქართველო) მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე აღმოჩნდა დამაჯერებელი თავისი გარეგნობით, ვოკალურად მან შეძლო, მიეცა ძალა და გრაციოზულობა თავისი პერსონაჟისთვის, რომლითაც შეაცდენდა და მოხიბლავდა მთელ დარბაზსა (კალდერონის თეატრს) და ყველას, ვინც კი მის ახლომახლო იყო. მისი ხმა ავსებდა თეატრს ოცნებებით, შემოთავაზებებითა და პროვოკაციებით, რაც ავლენდა მის უმაღლეს დონეს.

გაგა ჩხეიძეს გოეთეს მედალი გადაეცა

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დამაარსებელს გაგა ჩხეიძეს გოეთეს მედალი გადაეცა.

ინფორმაცია ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ გაავრცელა:

– გაგა ჩხეიძეს გადაეცა გოეთეს მედალი. ეს არის გოეთეს ინსტიტუტის ჯილდო, არა თბილისის ინსტიტუტის, არამედ საერთაშორისო – გერმანიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურის დარგში. ოფიციალური ცერემონია 28 აგვისტოს იქნება – გოეთეს დაბადების დღეზე.

გაგა ჩხეიძე:

– 20 წლის გამხდარ-გალეული სტუდენტი ვიყავი, როცა პირველად შევდგი ფეხი ლაიფციგის „აუერბახის სარდაფში“, ლუდის კათხებით სავსე მაგიდებთან შემომსხდარი მთვრალი, მოღრიალე, მომღერალი ახალგაზრდებით გადაჭედილ და ღვინის, ლუდისა და თამბაქოს სუნით გაჟღენთილ დარბაზში. დამფრთხალი და შეშინებული დავდიოდი მაგიდებს შორის თავისუფალი ადგილის ძიებაში, როცა უცებ ვიღაცამ ფეხით ცარიელი სკამი გამომიწია და მითხრა, ამ სკამზე იოჰანი ზის, მაგრამ, მოდი, ახლა შენ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

დათა თავაძე: „რა შეიძლება იყოს ომზე უარესი?“

ამ კითხვაზე პასუხი რეჟისორსა და მსახიობს დათა თავაძეს აინტერესებს:

– მაინტერესებს, რა არის „ქართული ოცნებისთვის“ მათი „მშვიდობის“ ლიმიტი. წარმოვიდგინოთ, რომ მართლაც მშვიდობაა მათი ზეამოცანა – აბსურდამდეც რომ დავიყვანოთ, როდემდე უერთგულებს ამ მიზანს? როდის დათმობს მას?

რა უნდა უთხრას/მოსთხოვოს/გაუკეთოს/უბრძანოს რუსეთმა, რომ მათ შანტაჟსა და მანიპულაციაზე ისევ არ დახუჭონ თვალი, ისევ არ „წამოეგონ“ და ეს მათი „მშვიდობა“ საფრთხის ქვეშ დააყენონ, „მშვიდობის ადამიანობა“ დათმონ?

სადამდე გაგრძელდება ეს „თმენა“ და როდის ამოევსებათ მოთმინების ფიალა?

რა შეიძლება იყოს ომზე უარესი?

საქართველოს რუსეთისთვის მთლიანად გადაცემა? თუმცა, ასეთ შემთხვევაში ხომ საერთოდ აღარ იარსებებს ომის საფრთხე...

ერთი უკვე ცხადია: ხელისუფლების პოლიტიკა იქამდე დაასუსტებს საქართველოს, სანამ მარტოს არ დატოვებს, უმეგობროდ, ერთი უალტერნატივო „მეგობრის“ პირისპირ – რუსეთის პირისპირ...

დანარჩენი მხოლოდ დროის საკითხი იქნება.

სოფო ნიჟარაძე ნიკა გვარამიაზე: „მისი პატიმრობა ნიშნავს თავისუფალი სიტყვის პატიმრობას“

მომღერალი სოფო ნიჟარაძე ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებელს, პატიმრობაში მყოფ ნიკა გვარამიას მხარდაჭერას უცხადებს:

– ნიკა გვარამია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იბრძვის თავისუფლებისთვის, არა მისი პირადი, არამედ თქვენი, ჩვენი, მომავალი თაობების თავისუფლებისა და ნათელი მომავლისთვის. მისი პოლიტიკური დევნითა და დაკავებით უნდათ გააჩუმონ „მთავარი“, შესაბამისად, ჩაახშონ თავისუფალი სიტყვა. სწორედ ამ ბრძოლის გამო არის დღეს ტყვეობაში, მაგრამ თავად იქაც ყველაზე თავისუფალია.

ჩემთვის მისი პატიმრობა ნიშნავს თავისუფალი სიტყვის პატიმრობას. შეუძლებელია დასავლურ ცივილიზაციასთან ერთობა, თუ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს თავისუფლებას შეუზღუდავ. სიტყვა არ შეიძლება დასჯადი იყოს. დემოკრატია გულისხმობს კრიტიკული აზრის მოსმენასა და პატივისცემას. ნიკას თავისუფლება სჭირდებათ მის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ქვეყანას, გვჭირდება ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფალი სიტყვის მნიშვნელობა

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 ივნისისათვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კვრო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანცელი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მჯდომარენი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ↄ



შვეულად: 1. მოწითალო, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. ბრიტანული არაყი; 3. მუსლიმანთა სულიერი მოძღვარი; 4. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. თაღლითი ბანქოს თამაშში; 6. მჭევრმეტყველების, ორატორობის ხელოვნება; 8. ქვეითი ჯარის ძველი სახელწოდება; 10. ნაღვლიანი განწყობა; 11. მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი; 14. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 15. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. შაქრით, ჩაითა და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

თარაზულად: 1. ხელოვნური წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 4. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 7. ძვირფასი ნომერი სასტუმროში; 9. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 12. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 13. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 14. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 17. სატუსაღო ძველ თბილისში; 18. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 19. შექსპირის ტრაგედია; 20. საფარიკაო სპორტული იარაღი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა